75
920

ლაუმაწვალო ყვავილი

ნაკადული

1920

№ V
მაისი
მოზრდილთათვის

წასაკითხელი

მაისი 1920 წ.

№ 5.

F 75/1920

F-5817

198

F 223

ცხენოსნები.



სეტევა.

მე სპეტაკად ცამა მშობა, თეთრი ვიყავ და ფუნჩული;
მთის მწვერვალი აკვნად მქონდა, საბნად კიდევ ცის კუნჭული.
ნიავ-ქარი მაწუხებდა, მაბრაზებდა ნებიერსა,
გავქონდი და გამოვქონდი, მექცეოდა ვით ტბიერსა.
სიბრაზისგან ვსივდებოდი: თეთრი ფერი მეცვლებოდა.
ვირუშხოდი, წარბს ვიკრავდი, ქარი კი არ მშორდებოდა:
ხან მთის წვერსა გამაკრავდა, ხან ცის გუმბათს შემსტყორცნიდა.
მოთმინება მეყოფოდა, თუ არა და თითქო მცდიდა.
ჩემებრ სხვებიც დავინახე, მთის წვერებსა მოგლეჯილნი.
გავექანე,— დამეჯახნენ, შევიქენით დაღრეჯილნი.
ჩვენ რისხვასა ცა ვერ უძლებს. დავაბნელეთ მზისა სხივნი;
შემოვწყერით ჩვენ სამშობლოს, ცრემლი ვღვარეთ მეტად
სხვილნი.
ქარი თითქო დაგვცინოდა: მუჯლუგუნსა ზურგში გვცემდა.
ელვის ზოლი გულს გვისერდა, დაბურული გზას გვინათებდა.
შეგვეზარა უბედურთა, ასე ყოფნა გაგვიმწარდა.
უმანკოთა, კეთილ მომქმედთ გული მეტად გაგვიქვავდა.
ტყვიის ფრათა ჩვენც ავზავდით, რისხვას რისხვა მოუმატეთ.
ქარის მეტ-მეტ სისასტიკეს ჩვენა გვწადდა გაუმკლავდეთ.
მაგრამ ბრძოლა ვერ შევძელით, დაგვეკარგა ჩვენი ბინა,
აქეთ-იქით მოყიალეთ ცრემლი თურმე გაგვეყინა.
ეს ცრემლები სეტყვად გვექცა, დედამიწას დაეფინა.
ყველა სულდგმულს გაუმწარდა, რაც აქამდის მოელხინა.
ჩვენც შევწუხდით, რაკი ვნახეთ—ხავერდ ხალსა დაეფინა.
იქ ნიაღვრად გადვიქეცით, სადაც ცვარსაც არ ედინა.

რევაზ ერისთავი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა დაიკო მარია.

ალაცა სადღესასწაულო ღიმილით გადმოდგა მზე აჭარის მთების მწვერვალზე, ნეტარებად მოეფინა იგი იმ მთების უბეში შეკუნჭულ პატარა სოფელს გურიისას, გოგიეთს. ბრწყინვალე სხივი თამამად შეიჭრა პატარა გოგია და მარიას ოთახში და გამოაღვიძა ისინი.

— მარია!—წამოიძახა გოგიამ:—ადექი, დაია, წავიდეთ მამასთან ყანაში.

მარია მსწრაფლ წამოდგა და ორივემ თვალებზე მოიფშვნიტეს ძილი.

მათი მამა, კაცია, ადრიანად წასულიყო სიმინდის სათოხნად და მათი დედაც, ქრისტინე, არა სჩანდა იქ.

— წავიდეთ ჩვენც ყანაში: წაულოთ მჭადი და დავეხმაროთ კიდეც,-სთქვა გიგომ.

ორივემ მოკრიფეს რაც საჭირო იყო, კალათაში ჩააწყეს და წავიდნენ მამასთან.

მშვენიერი დილა იყო. ცაში სიჩუმე მღეროდა და ანგელოზები ცეკვავდნენ; უხმო, ჩუმი და საიდუმლო დღესასწაული იყო; მზე უჩვეულოდ კაშკაშებდა; ნამი მარგალიტად ბრწყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავდა და ფოთოლი ტაშსა სცემდა; ფრინველები აბა ვინ ...
დნენ, მაგრამ ისეთი ფაცა-ფუცი ჰქონდათ ერთი ტოტიდან მეორეზე, ერთი ყვავილიდან მეორეზე, რომ აშკარად ეტყობოდათ დღესასწაულისათვის მზადება.

მარიამ და გოგიამ მიუტანეს მშობლებს ყანაში პური. კაცია სიმინდსა სთოხნიდა, ხოლო ქრისტინე, მათი დედა, წინდასა ჰქსოვდა. როცა მათ ისაუზმეს, კაციამ ისევ განაგრძო სიმინდის თოხნა, ხოლო ქრისტინემ — წინდის ქსოვა. რა უნდა გაეკეთებინათ მარიასა და გოგიას? ისინი გვრიტებივით ერთად დასხდნენ: მარიამ დედას დაუწყო მზერა და გოგიამ-მამას.

— მამი, წავალ მე, მეზობლისაგან თოხს ვითხოვ და გიშველი, — სთქვა გოგიამ,

— დედი, წავალ მე, მეორე წინდას მოვიტან და გიშველი ქსოვას, — სთქვა მარიამ.

ორივენი წავიდნენ.

—

მეტად უცნაური და მეტად სასიამოვნო ამბავი გაიგეს მარიამა და გოგიამ.

ქაქანით მიცვივდნენ მშობლებთან და სიხარულით შეატყობინეს:

— ქართველების ჯარი მოდის, დედა, ჩვენი ჯარი!

კაცია თოხს დაებჯინა და ნეტარის ღიმილით წარმოსთქვა:

— ჩვენი ჯარი მოდის?

— კი, ჩვენი ჯარი! აგერა, ყური დაუგდე — მუსიკასაც უკრავენ!

და გაჰკურცხლეს ორივემ ჯარის მისაგებებლად.

— მადლობა ღმერთსა! იქნება ახლა მაინც გვეშველოს რამე, — სთქვა კაციამ, თოხი მხარზე გაიდო და გასწია შინისაკენ:

— ჩვენს ბედს ჭია აღარ ეყოლება, თუ ეს სამარცხვინო სახლვარი, ჩვენსა და აჭარის შორის რომ არი, მოისპო. ნეტავ ახლა მაინც გვეღირსოს, რომ ჩვენმა ჯარმა გააერთიანოს აჭარა და საქართველო, თორემ აბა რასა ჰგავს: ჩემი განაყოფი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლი და ხორცი, ჩემივე გვარის კაცები სამი ნაბიჯის
უცხო სახელმწიფოში ითვლებიან...

და როცა მიუახლოვდა თავის სახლს, მუსიკა უფრო გარ-
კვევით მოესმა კაციას! თოხი მიაყუდა კუთხეში, ხელი დაიბანა
და ეზო-კარის მოწესრიგებასაც შეუდგა, თითქო ამასთან მოდი-
ან სტუმრადაო.

ქრისტინე, დაასუფთავე აქაურობა!—უთხრა ცოლსა და
თვითონ გადაივარცხნა რა წვერ-ულვაში, გასწია ჯარის მისა-
გებებლათ.

—

კაციამ თავის ფართო ეზოში მიიწვია არტილერია. აფი-
ცრები ოჯახში შეიწვია და უთხრა:

— აი ეს ერთი ოთახი, და როგორცა გსურდეთ, ისე მო-
ეწყეთ შიგაო. თუ რამე დაგჭირდეთ, მითხარით, და არაფერს
დაგზარდებითო.

ზარბაზნები ეზოს იქით დიდი კაკლების ქვეშ დაამწკრიეს,
ხოლო ჯარის კაცებმა ეზოში გაშალეს კარავი.

აფიცრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ასეთი მიღებისა-
თვის და იყო საერთო მხიარულება, აღტაცება.

მარია და გოგია გადარეულები იყვნენ სიხარულისაგან.

გაფაციცებულები შერბოდნენ და გამორბოდნენ სახლში,
ხოლო თითონაც არ იცოდნენ რას აკეთებდნენ; ზოგჯერ კი
გაიქცეოდა გოგია და დინჯ-შემოყრილი შეჰყურებდა ზარბა-
ზნებთან მდგომ ხმალ-ამოღებულ ყარაულს. მარია კი დადგე-
ბოდა სახლის კარებთან და გაჰყურებდა დინჯად მოძრავ მეო-
მრებს. მარიამ გაიგო, რომ ისინი კახელები არიან და მეტად
დაინტერესდა, რადგანაც ბევრი რამ გაეგო მათზე.

პირველმა დღემ დღეობის მზგავსად ჩაიარა. დღე სიხარუ-
ლში გაატარეს გოგია-მარიამ და ღამეც დიდხანს არა სძინებ-
ათ მეტის-მეტი აღტაცებისაგან. შუა-ღამის უკან ჩაეძინა მარი-
ასა, და დილით, როცა მებუკემ საყვირი დაუკრა ჯარისკაცთა
გასაღვიძებლად, მათზე ადრე მარიამ გაიღვიძა.

როცა ყველაფერი საქმე გაათავეს ჯარის კაცებმა, ჯორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც წყლიდან მორეკეს და დააბინავეს, თვალი-მოჰკრა, ერეკელ ჯარის კაცი როგორ იკერებდა დახეულ ხალათს. მარიამ მიეკიდა დედასთან და უთხრა:

— რა იქნება, დედა, რომ ჯარის კაცს დახეული ხალათი მე დაუკერო.

— კარგი იქნება, შვილო, —მოუწონა დედამ.

გაგზავნეს გოგია, რომელსაც დააბარეს თავაზიანი დახმარება. ჯარისკაცმა გაატანა გოგიას ხალათი, რომელიც აცა-ბაცა და ოკრო-ბოკროდ იყო დაჯღანებული.

მარია ისე გულმოდგინედ შეუდგა საქმეს, თითქო იესო ქრისტეს კვართსა ჰკერავსო და ცოტა ხანს შემდეგ ჯარის კაცს დაუბრუნა ხალათი სრულიად ახალის მზგავსი, რისთვისაც უზომო მადლობა მიიღო. თვითონ მიურბეინა მარიამ და ბედნიერება მიეცა დალაპარაკებოდა ჯარის კაცს.

— დიდი მადლობელი ვარ, დიდი! —უთხრა ჯარის კაცმა.

— კიდევ თუ ვისმე უნდოდეს, მე შემიძლიან დავეხმარო, უთხრა მარიამ.

ამის შემდეგ მარიას ბევრი საქმეები გაუჩნდა და ისიც სულ ფუტკარივითა ფუსფუსებდა; მშვიდათ აღარავის უნახავს იგი: სულ დარბოდა, მუდამ რაღასაც აკეთებდა ფაცი-ფუცით, მუდამ სადღაც მიეჩქარებოდა და ცდილობდა ყველას დავალებული გაეკეთებინა. გამოჩნდებოდა თუ არა იგი ეზოში, შემოეხვეოდნენ ჯარის-კაცები, მოკრძალებითა სთხოვდნენ რაიმე დახმარებას და „ჩვენ პატარა დაიკო“-ს ეძახდნენ. ისიც ყველას შესცინოდა და არავისა სტოვებდა თავის წყალობის გარეშე.

მეტის-მეტად შეუყვარდათ მეომრებს პატარა დაიკო და პატარა დაიკოსაც მეტის-მეტად შეუყვარდა თავისი „ძამია ჯარის კაცები“. თითქმის იმ ამბავსა ჰგვანდა, ცხრა ძმას რომ ერთი და ჰყავდა და ყველას რომ ერთნაირად უყვარდა იგი; მხოლოდ ის იყო განსხვავება, რომ მარიას, ცხრა ძმის მაგიერ, ას სამოცი ჰყავდა. ამდენი ძმების მოვლამ კარგი არ დააყარა და უცბად თავზარდამცემი ხმა გავარდა ჯარის კაცებში, მარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავად გახდაო. ყველა დაღონდა, და საღამო ჟამს, როდესაც ლაფერი საქმე დაბინავებული იყო, გაიჭიმა ჯარის კაცების ჯერი მარიას ოთახის კარებთან:

— შეიძლება ჩვენი პატარა დაიკო ვნახოთ—მიჰმართეს მათ კაციას.

— შეიძლება, შვილო, შეიძლება,—უთხრა მათ კაციამ და გაულო ოთახის კარები, სადაც ჯერ-ჯერით შედიოდნენ და ნახულობდნენ მარიას.

— როგორა ხარ, დაიკო?—ჰკითხავდნენ ჯარის კაცები.

— არაფერია, ისე, ვერა ვარ ჩემს გუნებაზე,—უპასუხებდა ნაზის და საამურის ხმით იგი.

საჩქაროდ დატრიალდნენ ჯარის კაცები, მოიყვანეს ექიმი წითელი ჯვრისა და გულმოდგინედ დაიწყეს ზრუნვა მის მოსარჩენად. მარია დიდ კმაყოფილებასა გრძნობდა ჯარის-კაცთა ასეთი ზრუნვის გამო და თითქმის გამოკოცხლდა კიდეც იმავე დღეს: სულ ილიმებოდა და თვალ-ყურს ადევნებდა, თუ როგორ ფაცი-ფუცობდა მისი ას სამოცი ძმა. ცოტა შერცხვა და შეეხათრა კიდეც, რო ამოდენა ხალხი სულ მისთვისა ზრუნავდნენ:

— ნულარა სწუხდებით, მე კარგადა ვარ,— უთხრა მათ.

გარედ მხიარულება დატრიალდა, როდესაც მარიას პირით გაიგეს, რომ იგი კარგად არის. ერთმანეთს ღიმილით ეუბნებოდნენ ბიჭები, ჩვენი დაიკო მოვარჩინეთო, და გახარებულნი სულ კარებისკენ იყურებოდნენ, როდის გამოვა გარეთო.

—

მამალმა რო პირველად იყივლა, მარიას გამოეღვიძა და გაიგო, რომ სრულიად ჯანმრთელად არის. მძიმე-მძიმედ წამოდგა, გავიდა გარედ, რათა გაეგო გათენება. ისევ ღამე იყო. სავსე მთვარე დაჰკაშკაშებდა აჭარის მაღალ მთებსა, და ტყეებს თავი დაეხარათ. ყველას ეძინა, მხოლოდ მათ ეზოს იქით, კაკლებ ქვეშ, სადაც ზარბაზნები ეწყო, ხმალ-ამოღებული დარაჯი დადიოდა და მისი ოდნავი ფეხის ხმა არღვევდა სიჩუმეს.

დიდხანს უყურა მარიამ გაშლილ კარვებს, სადაც ძილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფობდა; შემდეგ შვებით ამოისუნთქა და შებრუნდა ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალა გოგონა“, დაჰკრეს ტაში და ისევ გამხიარულდნენ. მხიარულდა მარიაც.

კარგა ღამე წამოვიდა. მარია ადგა, სახლში წავიდა და ბიჭებიც კარვებში გაიფანტნენ.

იმ ღამეს მარიას ტკბილად ეძინა. ღილით დედამ ადრე აღარ გააღვიძა, რადგანაც ეშინოდა, კიდევ ავად არ იყოსო. მაგრამ როცა გამოეღვიძა თვითონ, მხიარულ გუნებაზე იყო. მზე კარგა წამოსულიყო და მკვირცხლობდა ბუნება, რომელიც აგრეთვე მკვირცხლ გუნებაზე აყენებდა ყველას. ჯარის-კაცებიც მხიარულად იყვნენ.

ამ დღეს მარიას არაფერი გაუკეთებია, მაგრამ სიამოვნებისა და სიხარულისაგან დაღლილი წამოწვა თავის ტახტზე. დიდხანს იყო ასე და ღიმილით შეჰყურებდა ჭერს, როდესაც უეცრივ საყვირი დაუკრეს.

მარია წამოხტა და შემკრთალი გამოვარდა გარეთ; რაღაცა ცუდი იგრძნო, რადგანაც ამ დროს არასოდეს არ დაუკრავთ საყვირი.

მარიამ დაინახა, როგორ აფუსფუსდნენ საყვირის ხმაზე ჯარისკაცები: ზოგი ცხენს ეცა, ზოგი უნაგირს, კარვებიც უცბად მოხსნეს და მიჰხვდა იგი, რომ ბრძანება მოუვიდა ჯარს იქიდან წასვლისა, და დაღონდა.

ყველაფერი მსწრაფლ დასრულდა. დაცარიელდა მათი ეზო და შებმული ზარბაზნები გამწკრივდნენ გზაზე.

— გამოვეთხოვოთ ჩვენს დაიკოს, ბიჭებო, გამოვეთხოვოთ! დაიძახა ერთმა. საჩქაროდ ჩამოხტნენ ცხენიდან, მივიდნენ და გამოეთხოვნენ ყველანი თავიანთ პატარა დაიკო მარიას, რომლის თვალზედაც ცრემლები ბრწყინავდნენ და რომელმაც იმოდენა დობა გაუწია მათ.

ბატარეა დაიძრა, და წინ მიმავალი გუნდი მღეროდა:

„ომში წამსვლელსა ვაჟკაცსა
სჯობს გული ჰქონდეს რკინისა,
არც დედა ედარდებოდეს,
არცა დათმობა ლხინისა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ჰკლავდეს დარდი ოჯახში
ძმის, ან დის მოლოდინისა,—
იყოს მარტოდენ მომკვლელი
ბრძოლის ცეცხლის და ჟინისა!

ფეტვივით ჩამოზდიოდა მარიას ცრემლი, ხოლო სიმღერა თანდათან ჰშორდებოდა მის მახვილ ყურს.

ი. მჭედლიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულმა იგრძნო.

(სამდეგალი ამბავი)

— დედიკო, დედი, რამდენი ხანი გძინავს? ადექი, დედიკოჯან, ადე, ჩაი დავლიოთ; პური მშიან, — ეუბნებოდა პატარა კატო თავის დედას — მაგდანს.

— ავდგები, გენაცვალოს დედა, ცოტა დამაცა, შვილო; როგორღაც თავი მტკივა, — უპასუხა მაგდანმა, გადაბრუნდა ლოგინში, მძიმედ ამოიქშინა და ისევ ძილს მიეცა. უნდოდა ვითომ ძილი დაესრულებინა, რადგან იმ ღამეს როგორღაც ცუდად ეძინა და თავის ტკივილს ამ უძილობას აბრალებდა; კარგა ხანს იტრიალა ლოგინში, მაგრამ მაინც ველარ დაიძინა და ისევ ადგომა არჩია. შუა დღეს უკვე გადაცილებული იყო, როცა მაგდანა ადგა. თავის ტკივილმა თითქოს გაუარა, მაგრამ მაინც სისუსტესა გრძნობდა.

მაგდანს ჩვეულებადა ჰქონდა, დილით რო ადგებოდა, ჯერ აივანზე გავიდოდა, გაჰხედავდა ეკლესიას და პირჯვარს გამოისახავდა; მერე ჩავიდოდა ეზოში, ქათმებს დაუყრიდა საკენკს, მიივლ-მოივლიდა, ყველაფერს დაათვალიერებდა, მერე ისევ შინ ავიდოდა და საუზმეს მიირთმევდა; დღეს-კი არაფერი ეხალისებოდა და როგორღაც გარინდებული მივიდა და ფანჯარასთან ტახტზე ჩამოჯდა, თან ფანჯარაში გაიცქირებოდა.

ამ დროს უცბად წამოიძახა:

— შვილო, ილიკო, შვილო... აგე, ქა... ილიკო! არ გადავარდეს, მიჰხედეთ! — და ისეთმა ფერმა გადაჰკრა მაგდანას, რომ თითქმის მკვდარს დაემზგავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ ილიკო, დედი, აბა სად არის ილიკო?

— აგე, შვილო, აივნის მოაჯირზე გაირბინა ჩემი ნინას ილიკომ. ღმერთო ჩემო! — უპასუხა მაგდანმა და თვალებზე ხელი მოისვა.

— დედი, ილიკოს აქ რა უნდა, ის ხომ სხვა ქალაქშია?

— ჰო, შვილო, მეც ეგ მიკვირს, მაგრამ ცხადად დავინახე, — მოაჯირზე გაირბინა, და მერე რა იქნა — თვალი ველარ მოვკარი: თითქოს ჰაერში გაფრინდაო.

ამ ხმაურობაზე მაგდანის გათხოვილი შვილიც შემოვიდა და უკანასკნელ სიტყვებს ყური რო მოჰკრა, მივარდა დედას და ამშვიდებდა:

— დედიჯან, შენი ჭირიმე, გეტყობა თავი გტკივა, რათ ადექი, დედი?! დაწექ, დაიძინე, ლამაზად ოფლი მოიდინე და კარგად გახდები. აბა ილიკოს აქ რა უნდა? ეგ ჯანის სისუსტესა ნიშნავს; დედიჯან, წამოდი, წამოწექი.

— არ ვიცი, შვილო, რა მომივიდა; ვენაცვალე ილიკოს, — ცხადად-კი დავინახე ის ბიჭი, და ნეტა რათ მომეჩვენა? ღმერთო, შენი მადლის ჭირიმე, იმათი კარგი ამბავი გამაგებინე, — სთქვა მაგდანმა, და პირჯვარი გადიწერა.

გათხოვილმა ქალმა დედას ლოგინი გაუსწორა, ხელი დაუჭირა და ლოგინთან მიიყვანა; მაგდანმა ტანთ გაიხადა და ისე ჩაწვა ლოგინში.

მეორე დღეს მაგდანი ის-ის იყო ლოგინიდან ადგა, იმისი სიძე შემოვიდა, ძალიან დაღონებული და დაფიქრებული, თითქოს რიღაცას თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა კი.

— რა იყო, შვილო, ცუდათ ხომ არა ხარ? — ჰკითხა მაგდანმა.

— არა, დედი, მაგრამ ერთი ცუდი ამბავი გავიგე და...

— რა არის, რა? სთქვი ჩქარა, რა მოხდა? — გააწყვეტინა სიდედრმა.

— წელან სკოლისაკენ რო მივდიოდი, აი ეს ჩემი ქვისლის დეპეშა მომაჩეჩეს ხელში, — უპასუხა სიძემ და დაკეცილი დეპეშა მიაწოდა მაგდანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდანმა აიღო, გაშალა და წაიკითხა დეპეშა, სადაც შიაც ეწერა: „ილიკო ორთქლმავალმა გაჭყლიტა, კვირას ვასაფლავებთ, ჩამოდით“.

ვაიმე, შვილო ღალუპულო, ვაიმე, ჩემო ლამაზო, ჩემო ანცო ბიჭიკო!—წამოიძახა მაგდანმა და მწარედ ქვითინი დაიწყო, თან მუშტებით სულ მუხლებს იბეგვავდა. – ვინ იცის ახლა, ჩემი ნინო როგორ თავს აკლავს ზედა და მე კი აქა ვარ და ვერაფერსაც ვშველი.

ამ ამბავზე ყველამ ტირილი დაიწყო. ყველაზე მეტად-კი მაგდანა და მისი პატარა ქალი ტიროდნენ.

— გუშინ კიდეც იმიტომ მომეჩვენა საწყალი; მე ის ბიჭი ისე მიყვარდა, რომ სულმა მოირბინა ჩემთან და უკანასკნელად დამანახვა ჩემი ცელქი ბიჭიკო!.. ვაიმე, შვილო, ვაიმე,— მოსთქვამდა მწარედ მაგდანი, თან ღაპა-ღუპით ცრემლები გადმოსდიოდა ლოყებზე.

ილიკო იყო მაგდანის უფროსი ქალის შვილი; ძალიან ანცი, ლამაზი, ოთხი წლის ბავშვი და ისეთი ჭკვიანი და ნიჭიერი, რომ ყველას ის 7—8 წლისა ეგონებოდა. ხშირათ უთქვამთ, რომ ღმერთმა-კი დღე მისცეს, და რა ვიცით,—რაღაც საკვირველება რამ გამოვაო. აი ამიტომ ყველას გული სწყდებოდა იმის უბედურების გაგონებაზე.

— დედი, აბა ტირილით რას ვუშველით,—ამშვიდებდა მაგდანს სიძე—წავიდეთ, ჩვენებს მივხედოთ, თორემ ვინ იცის, სულ დაიბნენ და აღარ იციან, როგორ მოიქცნენ.

— ჰო, შვილო, კარგი იქნება; აბა მაშ მალე მოვემზადნეთ, რომ დილაზე დილიჯანმა არ გაგვასწროს.

მართლაც საჩქაროდ მოემზადნენ და მეორე დღეს დილით, დილიჯანმა ჩამოიარა თუ არა, დაუსხდნენ და წავიდნენ. როცა მივიდნენ იმ ქალაქში, სადაც უბედურობა მოხდა, მაგდანმა და იმისმა უფროსმა ქალმა ერთმანეთს მწარედ შესტირეს, ბევრი ცრემლი დაღვარეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ.

როცა მოიღალნენ და ცოტათი დამშვიდნენ, მაგდანმა გამოჰკითხა მიზეზი, თუ როგორ მოხდა ეს უბედურობა. ილიკოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ისე იყო დასუსტებული და ღონე-მიხდილი, რომ ლაპარაკის თავი არა ჰქონდა და იმისმა ქმარმა, რომელიც რკინის გზაზე მსახურობდა და იქვე სარკინისგზო სახლში სცხოვრობდა, ასე უამბო სიდედრს: —მე სამსახურში ვიყავი; უცბად შემოგვესმა ორთქლმავალის ისეთი არაჩვეულებრივი საზარელი ღმუილი, რანაირსაც ისინი უბედურობის დროს მოჰყვებიან ხოლმე. ჩვენ ყველამ საქმეს თავი დავანებეთ და კარში გამოვცვივდით.

აივნიდან აქეთ-იქით ვიყურებოდით: გვეგონა უთუოდ სადმე ცეცხლი უკიდიაო, მაგრამ არსად არაფერი ჩანდა, მაშინ ზოგი სადგურისაკენ გაიქცა ამბავის გასაგებად, ზოგი იქით, საითაც ორთქლმავალი იდგა. მე კი ვიდექი აივანზე გადაყუდებული და ვფიქრობდი: ნეტა რა მოხდებოდა, მალე მაინც მოიტანონ ამბავი მეთქი, ესე ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ერთი კაცი მოდიოდა, და ჩვენ რო შემოგვხედა, თავი გაიქნია. მე ვკითხე: ძმობილო, რა ამბავია, რა მოხდა მეთქი. რაღა რა მოხდა,—გვიპასუხა იმან,—იმ ოხერ მა ორთქლმავალმა პატარა ბავშვი გაჭყლიტაო, ჩაიქნია ხელი და განაგრძო თავისი გზა.

ჩვენ დაგვენანა, რასაკვირველია, და ერთმანეთში ვლაპარაკობდით, ნეტა რამოდენა იქნებაო, ვისი იქნებაო, ვაი იმის მშობლების ბრალიო და სხვა ამისთანები. მერე შევედით და მოვუსხედით ჩვენ ჩვენს საქმეს. არ გავიდა ათიოდ წუთი, რომ ჩვენი მეზობლის ბიჭი მოვარდა და მითხრა,—ჩქარა შინ წამობრძანდით, გეძახიანო. მე მაშინვე მივხვდი, რომ ჩემს თავს რაღაც უბედურება იყო. წამოვხტი და გავიქეცი შინ. შორიდანვე წივილ-კივილი და ტირილი მომესმა. შემოვარდი შინ და ჩემი ლამაზი ბიჭაკო სისხლში მოსვრილი უსულოდ იდო ტახტზე. ბევრი ვიტირე, ბევრი ჩავძახე, მაგრამ ილიმ მე ხმა აღარ გამცა.

მერე გამოვკითხე და აღმოჩნდა, რომ ჩემი უბედური ილიკო ლიანდაგის მოაჯირს იქით გადასულიყო და თავქვეზე დამდგარიყო. ორთქლმავალს რო გამოუვლია და უცბად დაუსტვენია, ბავშვს შეშინებია, წაუბორძიკნია, წაქცეულა, ჩაგორებულა და ზედ რელსებზე დაცემულა. მემანქანეს ვერ დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახავს, ის თურმე მეორე მხარეს იყურებოდა, და ... ვალმა ბავშვს შუაზე კი გადაუარა. ეს ყოფილა სწორედ შუა დღის ცოტა შემდეგ,—დაათავა ილოს მამამ და ქვითინს მოჰყვა.

— ჰო, შვილო, სწორედ ეგ დრო იყო, რომ საწყალი ილიკო მომეჩვენა,—ტირილში ძლივ-ძლივობითა სთქვა მაგ-დანმა:—უცბად აივნის მოაჯირზედ გაირბინა და მეც თვალთ დამიბნელდა. ეს იმიტომ, რომ სულმა იგრძნო და ილიკოს სული თავის სხეულით დამენახვა.

მესამე დღეს, ილიკო ყვავილებით შემკული დიდძალმა ხალ-ხმა სასაფლაოზე მიაცილა, და მცირე ანდერძის შემდეგ მიწას მიაბარეს პატარა ანგელოზი.

მ. იანქოშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურჯი ფრინველი.

სურათი მეხუთე. ტყე.

სცენა წარმოადგენს ტყეს. მთვარიანი ღამეა. სხვადა-სხვა ხეები, სახელდობრ: მუხა, წიფელი, თელა, ნაძვი, ჭადარი, ალვისხე, ცაცხვი. წაბლის ხე და სხვა...

(შემოდის კატა)

კატა. (ყველა ხეებს თავს დაუკრავს.) გამარჯვება ხეებო...

ოჯახთადმთა ჩურჩული.—გაგიმარჯოს...

კატა. — დღევანდელი დღე დიდი დღეა... მტერი მოდის ჩვენზე, ჩვენ დასახსნელად და თავის თავის დასაღუპავად... ეს მტერი—ტილტილია, შვილი შეშის მჭრელისა, რომელმაც აუარებელი უსიამოვნება და უსამართლობა მოგაყენათ... ლურჯ ფრინველს ეძებს, იმ ლურჯ ფრინველს, რომელიც აქ იმალება მას აქეთ, რაც ქვეყნიერება არსებობს, და რომელმაც—ჩვენი საიდუმლო იცის... (ფოთლების შრიალი) რაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო ჭადარო? დიახ, ისეთი თვისების ალმასი აქვს, რომ შეუძლია ჩვენი სული გაანთავისუფლოს ლურჯი ფრინველიც წაგვართვას და მაშინ, რაღა თქმა უნდა, სამუდამოდ ადამიანის ხელში ჩავარდებით... (ფოთლების შრიალი) რომელი ლაპარაკობს? მუხა ყოფილა... როგორა ბძანდებით? (მუხის ფოთლების შრიალი). სურდო ისევა გჭირთ? ძირტკბილა აღარა გწამლობთ? განა ისევ ნეკრესის ქარი გაწუხებთ? დამიჯერეთ, ეგ სულ ხავსის ბრალია, გადამეტებულს იდებთ ფეხებზე, დალოცვილო... ლურჯი ფრინველი ხომ ისევ აქ არის? (მუხის ფოთლების შრიალი) რა ბძანეთ?.. დიახ, რასაკვირველია, ყოყმანი არ—გამოგვადგება; ამ შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ და ისინი მოვსპოთ... (ფოთლების შრიალი) დიახ, დაც თანა ჰყავს... ისიც უნდა მოვკლათ... (ფოთლების—შრიალი) დიახ, დიახ, ძაღლიც სულ თან დასდევს. ვერ იქნა, ვერაფრით მოვიშორე... (ფოთლების შრიალი) რა ბძანეთ?.. შევაცდინო როგორმე? ყოველივე ვცადე, შეუძლებელია. (ფოთლების შრიალი) რაო, ნაძვო, რა სთქვი?... ჰო, ჰო, ოთხი ფიცარი მოუმზადე... დიახ, ცეცხლს, შაქარს, პურს—ჩვენი მხარე უჭირავსთ... თუმცა ესეც კი უნდა ვსთქვა—პურის მოქმედება რაღაცა გაუგებარია... სინათლე ხომ მთლად ადამიანის მხარეზეა, მაგრამ ის აქ არ მოვა. ბავშვებს ვუთხარი—სინათლეს რომ ეძინება, მაშინ გამოიპარეთ-მეთქი... კარგი შემთხვევაა... (ფოთლების შრიალი) მგონი წიფელის ხმა მესმის... დიახ, უეჭველად საჭიროა პირუტყვებს შევატყობინოთ... კურდღელს უთხარი ნაღარა დაჰკრას. აქ არის? ჰო და მაშ გაიქცეს, საჩქაროდ ყველას დაუძახოს... აგერ ისინიც მოდიან...

(კურდღლის ნაღარის ხმა ისმის. შემოდიან: ტილტილ, მიტილ და ძაღლი).

F-5817

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილტილ. — ეს არის ტყე?

ბაბა — (ზრდილობიანად, ტკბილად და ფარისევლურად), დიახ, მობძანდით, ჩემო პატარა ბატონო... რა კარგი ფერი გადევთ... იმიტომ დავწინაურდი, რომ ხეებისთვის თქვენი აქ მოსვლა შემეტყობინებია... სუყველაფერი მზად გახლავსთ. ეს-კი იყო, კურდღელი — ვაფრინე პირუტყვებთან, შეატყობინე ახლავე აქ მოვიდნენ-მეთქი... (ისმის პირუტყვთა ხმაურობა, სახელდობრ: ვირისა, ცხენისა, ღორისა და სხვათა) აგერ იმათი ხმაც მოისმის... (ტილტილს ჩუმად) ძაღლი რაღად წამოიყვანეთ?.. აკი მოგახსენეთ, მაგას ყველასთან ცუდი განწყობილობა*) აქვს-მეთქი, არამც თუ პირუტყვებთან — ხეებთანაც კი. მეშინიან, რომ მაგის აქ ყოფნამ საქმე სრულიად არ გააფუჭოს...

ტილტილ. — რა ვქნა, თავიდან ველარაფრით მოვიშორე... — (ძაღლს) გასწი, დაიკარგე აქედან, შე საძაგელო, შენა...

ძაღლი — ვინა მე? რაბთა, რისთვის? რა დავაშავე?

ტილტილ. — გეუბნები, აქედან გამეცალე-მეთქი... თავი მომაბეზრე მეცა და ყველას...

ძაღლი — ხმას არ ამოვიღებ... მე სულ შორს ვიქნები... ვერავინ დამინახავს.

ბაბა — (ტილტილს ჩუმად). — მაგისთანა შეუპოვრობას როგორ ითმენთ? ერთხელ ან ორჯელ გაარტყით, და მოისვენებს... საშინელი აუტანელი რამ არის...

ტილტილ. — (ძაღლსა სცემს). — არც ახლა გამიგონებ!...

ძაღლი — (ღმუის) — ვაი, ვაი, ვაი...

ტილტილ. — ჰე, მოგხვდა?

---

*) რადგან ეს სურათი არც პარიზის, არც მოსკოვის სცენაზე არ დადგმულა, ამიტომ ეს მოქმედნი პირნი, დედანში საერთო მომქმედ პირთა სიაში არ არიან ჩამოთვლილი. არც ჩვენ ჩამოვთვალეთ.

მთარგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძადღი — მოდი გაკოცო, რომ მცემე... (ჰკოცნის და ეალერსება ტილტილს).

ტილტილ. — კმარა, კმარა! გასწი, დაიკარგე...

მიტილ. — არა, ნუ წავა—დარჩეს; ეგ როცა აქ არ არის, მეშინიან.

ძადღი. — (ისე მივარდება მიტილს, ლამის არის წააქციოს, და ჰკოცნის). გულკეთილო პატარა ქალო... რა ლამაზი, რა ტურფა და რა ნაზი ხარ... უნდა გაკოცო... კიდევ, კიდევ, კიდევ...

პაპა. — რა ბრიყვია!.. ეხ, ვნახოთ რა იქნება!.. დროს ნუ ვკარგავთ. აბა ალმასი მოაბრუნეთ...

ტილტილ. — სად დავდგე?

პაპა. — აი აქ, მთვარის შუქზე უკეთესად დაინახავთ... მოაბრუნეთ ალმასი...

(ტილტილ მიაბრუნებს თუ არა ალმასს, იმ წამსვე—ტოტები გაინძრევიან, ფოთლები შრიალს დაიწყებენ. ამავე დროს ხეებიდან გამოვლენ მათი სულები. ტანისამოსი ისეთი აცვიათ, როგორც შიჰფერისთ. შეხედულებაც ისეთი აქვსთ. მაგალითად, მუხა მოხუცებული ადამიანია, ალვის ხეს ტრაგიკული შეხედულება აქვს, წაბლის ხეს კეკლუცი შეხედულება აქვს, და სხვა. ზოგი ხეები მძიმედ გამოდიან, ზოგნი კიდევ მარდად, უცებ გამოხტებიან, ყველანი ბავშვების გარშემო შემოიკრიბებიან, მაგრამ მაინც თავიანთ ხეებთან ახლო დგანან).

ჭადარი. — (პირველი ეს მიუახლოვდება ბავშვებს და რაც ძალი და ღონე აქვს ყვირის).

— კაცები, პატარა კაცუნები მოსულან... ძლივს—გველირსა მათთან ლაპარაკი... მადლობა განგებას, მუნჯები აღარ ვართ... ვინ არიან, საიდან მოდიან?.. (ცაცხვი დარბაისლურად ჩიბუხის წევით მიუახლოვდება ბავშვებს)

— შენ იცნობ ამათ, მამა ცაცხვო?

ცაცხვი. — აღარ მახსოვს... მგონი ჯერ არსად შემხვედრიან...

ჭადარი. — როგორ არა, უნდა იცნობდე. შენ ყველას იცნობ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის ადამიანის სახლის წინ დასეირნობ-ხარ-ლმე...

ნანხვი. — (ბავშვებს დააცქერდება).— არა, გარწმუნებთ, არ ვიცნობ... ეგენი ჯერ სულ ახალგაზდანი არიან, არ-სად შემხვედრიან... მე, მაგალითად, კარგათ ვიც-ნობ შეყვარებულთ, რომელნიც მთვარის შუქზე მოდიან ჩემს სანახაოად, ან ლოთებს, / რომელნიც ჩემი ტოტების ჩრდილოში ქეიფობენ ხოლმე...

წაბლის ხე. — (ლამაზი ტანისამოსი აცვია. თვალებზე მონოკლი*) აქვს გაკეთებული).

— ესენი ვინ არიან?.. სოფლელები ყოფილან, ვი-ღაც ღარიბნი...

ჭადარი. — ოჰ, თქვენ, ბატონო წაბლის ხევ, მას აქეთ, რაც მდიდრებში დაბძანდებით, ღარიბებს აღარ კადრუ-ლობთ...

ტირიფი. — ჩემს გასაკაფად მოვიდნენ. ალბად შეშა ენდომე-ბათ...

ჭადარი. — სიჩუმე! მუხა გამობძანდა თავის სასახლიდან...— ცუდ ფერზე კია ამ საღამოთი... როგორ დაბერ-და, საბრალო... ნეტა ვიცოდე, რამდენი წლისა იქნება. ნაძვი ამბობდა—ოთხი ათასი წლისა არისო, მაგრამ მგონი გადააჭარბა... ყურადღებით იყავით, ეგ გვეტყვის, რაც ამბავია!...

(მუხა მძიმედ, დარბაისლურად მოდის, ძალიან მოხუცებული და უსინათლოა. გძელი თეთრი წვერი თითქმის ფეხებამდი სწვდება. ცალ ხელში ჯოხი უჭირავს. მერე იღლიაში ახალგაზდა მუხა ამოს-ჯდომია. მხარზე ლურჯი ფრინველი უზის. ხეები მუხას მოწიწებით და დაბლა დაუკრავენ თავს).

ტიდტიდ. — აგერ ლურჯი ფრინველი სად ყოფილა... ჩქარა მომეცით, მომეცით...

ხეები. — ჩუმად!

კატა. — (ტილტილს)—ქუდი მოიხადეთ, მუხა მობძანდება...

*) მონოკლი—სათვალეა მხოლოდ ცალ თვალზედ გაკეთებულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. — ვინა ხარ?

ტილტილ. — ტილტილ გახლავართ... ლურჯ ფრინველს როდის მომცემთ?..

მუხ. — რომელი ტილტილ? შეშის მჭრელის შვილი ხარ?

ტილტილ. — დიახ, ბატონო!..

მუხ. — მამაშენმა ბევრი დაგვტანჯა... მარტო ჩემს ოჯახში ექვსასი შვილი მომიკლა, ოთხას სამოცდათხუთმეტი ბიძა და დეიდა, ათას ორასი ბიძაშვილი, სამას ოთხმოცი რძალი და თორმეტი ათასი შვილიშვილი.

ტილტილ. — რა მოგახსენოთ, ალბად შემთხვევით მოუხდა...

მუხ. — რისთვის მოსულხარ, ან რისთვის გამოიყვანე ჩვენი სულები თავიანთი ბინებიდან?..

ტილტილ. — დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხეთ, ბატონო ჩემო... კატამ თქვენზე მითხრა, ის გეტყვის, ლურჯი ფრინველი სადაც არისო.

მუხ. — ვიცი, რისთვისაც გინდა ლურჯი ფრინველი... შენა გსურს ბედნიერების და ნივთების დიდი საიდუმლო შეიტყო, რომ ამაზე უარესად დაგვტანჯო და დაგვიმონო...

ტილტილ. — რა ბძანებაა, ლურჯი ფრინველი ფერია ბერილიუნის ავადმყოფ შვილისათვის მინდა...

მუხ. (გააჩუმებს) — კმარა... პირუტყვები სადღა არიან? ყველა ეს იმათაც იმდენათვე შეეხებათ, რამდენანათაც ჩვენ, რადგან მარტო ჩვენ, ხეები, არ უნდა ვიყოთ პასუხის-მგებელნი იმისი, რაც მოხდება, თორემ როცა ადამიანი შეიტყობს, უარესად დაგვტანჯავს... მაშასადამე, საჭიროა ყველანი შევთანხმდეთ, რათა შემდეგში ჩუმად ვიყოთ და ერთმანეთი არ გავცეთ...

ნაძვი. — (გაიხედავს) პირუტყვებიც მოდიან... აგერ სული ცხენისა, მოზვერისა, ხარის, ფურისა, მგლისა, ცხვარისა, ლორისა, მამლისა, თხისა, ვირისა, დათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისა — ყველანი კურდღელს მოსდევენ... (იმ რიგზე როგორც ნაძვი ჩამოივლის, შემოდიან პროტესტანტთა სულები. ყველნი შემოსვლის უმალვე აქა-იქ ჩამოსხდებიან, მხოლოდ თხის სული კი მოუსვენრად დახტის და ფოთლებს ჭიკნის).

მუხა. — ყველანი აქ არიან?..

კურდღელი. — არა, ქათამმა კვერცხებს თავი ვერ დაანება, ირემს რქები სტკივა, მელა ავად არის. აი ექიმის მოწმობა. ბატმა ვერა გაიგო-რა, ინდაური ჯიდევ გაცხარდა.

მუხა. — მეტად სამწუხაროა, რომ ყველანი აქ არ არიან, მაგრამ რაკი უმრავლესობა აქ არის, ეს საკმარისია... მოგეხსენებათ, ძმებო, როგორც არის საქმე. აი ბავშვს, რომელსაც რაღაცა მანქანებით თილისმა ჩაუგდია ხელში, შეუძლია წაგვართვას ლურჯი ფრინველი და მაშასადამე შეიტყოს ის საიდუმლო, რასაც ქვეყნის დასაბამიდანვე ვმალავთ... ჩვენ კარგად ვიცნობთ ადამიანს, და ისიც კარგად ვიცით, რაც მოგველის, როცა საიდუმლოს მოგვტაცებს. ამიტომ, მე მგონი, ჩვენი მხრივ მეტი ყოყმანი დიდი შეცდომა და დანაშაული იქნება. საჭიროა, მაშასადამე, ეს ბავშვი ქვეყნიერობას გამოვასალმოთ, ვიდრე დაგვიანებული არ არის...

ტილტილ. — რაო, რა სთქვა?..

ძაღლი. — (მუხის გარშემო დახტის და კბილებს აკრაჭუნებს) — შენ ჯერ ჩემი კბილები არ გინახავს განა, შე ბებერო ხავსიანო შენა...

წიფელი. — ოჰ, ოჰ, მუხასა ჭლანძღავს, ვის გაუგონია!..

მუხა. — ეგ ვინ იყო? ძაღლი? განდევნეთ აქედან. ჩვენ — შორის მოღალატეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს...

კატა. — (ჩუმად ტილტილს) — თავიდან მოიშორეთ როგორმე... აქ რაღაცა გაუგებრობაა, ყველაფერს ახლავე მოვარიგებ, ფიქრი ნუ გაქვსთ... ოღონდ ძაღლი კი მოიშორეთ თავიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილტილ. — (ძაღლს)—გასწი, დაიკარგე აქედან...

ძაღლი. — ნება მომეცი მაგ ბებრუცუნას ეგ ხავსიანი ფეხსაცმელი ხელად დავუფხრიწო...

ტილტილ. — გაჩუმდი, აქედან დაიკარგე, შე საძაგელო შენა...

ძაღლი. — კარგი, კარგი, წავალ, მაგრამ თუ ჩემი თავი დაგჭირდა, დამიძახე და იმ წამსვე აქ გავჩნდები...

კატა. — (ტილტილს ჩუმად).—ემჯობინება დავაბათ, თორემ სისულელეს ჩაიდენს რასმე, ხეები გაჯავრდებიან და საქმე სრულიად ჩაგვეშლება...

ტილტილ. — რითი დავაბა, რო თოკი არა მაქვს..,

კატა. — აგერ ეკალლიჭას ვთხოვოთ, ის დააბამს...

ძაღლი. — მივდივარ. მაგრამ დამაცა, შე ბებრუცუნავ, შენა... შე ბრუციანო... შე ჭლექიანო... სუყველანი ჭლექიანები ხართ... ეს სულ კატის ბრალია. ცოტა დამაცადოს, ვუჩვენებ სეირს... რას ეჩურჩულები მანდ, შე იუდავ, ვეფხო... ჰამ, ჰამ, ჰამ...

კატა. — (ტილტილს)—ხომ ხედავთ, ეგ ყველასა ჭლანძღავს...

ტილტილ. — ეგ საძაგელი, ეგა, მაგის გამო ვერ მოვრიგებულვართ... ბატონო ეკალლიჭავ, თუ შეიძლება დააბით...

ეკალლიჭა. — (ძაღლს მიუახლოვდება და თან ეშინიან)—ხომ არ მიკბენს?..

ძაღლი. — აბა სად გაგონილა!.. როგორ შეიძლება... მობძანდი აქ, მობძანდი! შენმა სიკოცხლემ პირს დაგიკოცნი!..

ტილტილ. — (ჯოხს ულერებს)—ტილ!..

ძაღლი. — (ტილტილს ფეხ ქვეშ დაეგება და თან კუდს იქნევს).
— რას მიბძანებ, ჩემო პატარა ღმერთო...

ტილტილ. — დაწექი ამსაათში და დაემორჩილე ეკალლიჭას, — თორემ...

ძაღლი. — (დაწვება. ეკალლიჭა შეჰკრავს. ძაღლი ბუზღუნებს).
— კანაფი, ჩამოსახრჩობი თოკი... ჩემო ღმერთავ, შეხე, თათები სულ დამამტვრიეს... მახრჩობენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილტილ. — ახია შენზე, შე მოუსვენარო... გაჩუმდი, ნუ ჩაიწყვიტე...

ძაღლი. — შენი ნებაა... შენი ნებაა... ეს-კი იცოდე—ცუდ რამეს გიპირებენ... ფრთხილად იყავ, ჩემო პატარა ლმერთო... პირში რაღაცა ჩამჩარეს, ლაპარაკი აღარ შემიძლია...

ქალდაბუ. — (ძაღლი შეჰკრა)—ისე შევკარი რომ, ახლა ველარ გაჰბედავს... სად წავიყვანო?

მუხ. — აი მანდ ჩემს ფეხს გამოაბით... მაგის ბედს მერე გადავწყვეტთ... (ეკალიჭა ძაღლს დააბამს). დააბით? ძალიან კარგი... რაკი ეგ არა ს-სურველი მოწმე და მოღალატე თავიდან მოვიშორეთ, ახლა შეგვიძლია ჩვენ საქმეს შეუდგეთ... გულწრფელად უნდა ვალიარო, რომ მეტად აღელვებული და შეწუხებული ვარ... დღეს პირველად ჩაგვივარდა ადამიანი ხელში — გასამართლებლად... დღეს ვეჩვენებთ მაგას ჩვენს ძალას... ყველა იმ უბედურების, ყველა იმ საზარელ უსამართლობის შემდეგ, რაც ჩვენ მაგან მოგვაყენა, არა მგონია ვისმე თქვენგანს ეპვი ჰქონდეს, თუ რა სასჯელიც მოელის...

ხეები და ბირუტმეები. არა, არა, ვიცით... ყველამ ვიცით... ჩამოვახრჩოთ... სიკვდილი ადამიანს... დიდი ხანი — გვტანჯა მაგან... შევჭამოთ, გავჭყლიტოთ ეგ უსამართლო ეგა...

ტილტილ. — (კატას)— ა მოუვიდათ? ეწყინათ რამე თუ?..

კატ. — მაგაზე ნუ იდარდებთ... ისე, ცოტათი გაჯავრებულნი არიან, რო გაზაფხული იგვიანებს... თქვენ დამშვიდდით, მე მოვარიგებ ყოველიფერს...

მუხ. — ასეთი ერთხმად გადაწყვეტილება მიკვირს, ყველა ეს მოსალოდნელი იყო... ახლა საჭიროა გამოვარკვიოთ, როგორი სასჯელი იქნება ყველაზე პრაქტიკული, ყველაზე ადვილი და ამასთანავე ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ნამდვილი... სასჯელი ასეთი უნდა იყოს, რა-საკვირველია, რომ არ დარჩეს არავითარი კვალი, და არა დაგვბრალდეს-რა, როდესაც ხალხი ამათ გვამს იპოვის ტყეში...

ტილტილი და მიტილი.

ტილტილ. — რას ნიშნავს ყველა ეს? რას აპირებს?.. საქმე გამიჭირა... ხო ჰყავს ლურჯი ფრინველი: მომცეს და გაათავოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზვერი. — (წინ წამოდგება) ყველაზე პრაქტიკული და ნამდ-
ვილი საშუალება—რჩოლაა... თუ ნებას მიბოძებთ,
რქებს შიგ მუცელში ვატაკებ...

მუხ. — ვინა სთქვა ეგ...

პეტ. — მოზვერი მოგახსენებთ...

ფური. — ე მანდ ეგ თავისთვის იყოს, ის ურჩევნია... მე
ამ საქმეში არ ვერევი... ისედაც ბევრი საქმე მაქვს.
მინდორი სავსეა ნორჩი ბალახით, ის უნდა მოვ-
ძოვო.

ხარი. — მეც... ჩემი საქმე არ არის... მე წინდაწინვე ყვე-
ლაფერზე თანახმა ვარ...

წიფელი. — მე შემიძლია შემოგთავაზოთ ყველაზე მაღალი
ტოტი, რომ ზედ ჩამოვაღრჩოთ...

ეკალდიჭა. — მეც ყულფს მოვამზადებ...

ნაძვი. — მე-კი ოთხს ფიცარს შემოგთავაზებთ კუბოსათვის...

ტირიფი. — ყველაზე ადვილი იქნება ერთ-ერთ ჩვენ მდინარეში
დავაღრჩოთ. ამას თვითონვე მე ვკისრულობ, თუ
ნებას მომცემთ...

ცაცხვი. — მოითმინეთ, მოითმინეთ... მაგისთანა სასტიკი ზო-
მები რა საჭიროა... ეგენი ჯერ სულ ახალგაზდე-
ბი არიან... განა არ შეიძლება ისე მოვაწყოთ სა-
ქმე, რომ უსიკვდილოთაც სრულიად უვნებელნი
გავხადოთ... აი მაგალითად, მე შემიძლია მინ-
დორი შევლობო და შიგ მოვამწყვდიო...

მუხ. — ეგ სიტყვა ვინა სთქვა? მგონი ცაცხვის ტკბილ
ხმასა ჰგავდა...

ნაძვი. — დიახ...

მუხ. — ნუ თუ ჩვენ შორისაც არსებობს მოღალატე, რო-
გორც პირუტყვთა შორის? აქამდის ჩვენი სადარ-
დელი მხოლოდ ხილის ხეები იყო, რომელთაც
ადამიანის მხარე დაიჭირეს, თუმცა ესეც-კია, რომ
ისინი ნამდვილი ხეები არ არიან.

დორი. — (აქეთ-იქით აბრიალებს თავის გაუმაძღარ თვალებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემის აზრით ჯერ პატარა გოგო უნდა შეეჭამოთ, გემრიელი ხორცი უნდა ჰქონდეს...

ტილტილ. — რაო, რა სთქვა?.. დამაცა შე...

ბატ. — სწორე გითხრათ, არ ვიცი რა დაემართათ... ჩვენი საქმე ცუდად არის...

მუხა. — ჩუმად!.. ახლა საჭიროა გამოვარკვიოთ, ვინ მოიტანს პირველ იერიშს ჩვენ მტერზე, იმ მტერზე, რომელიც ასე უწყალოდ გვ`ნადგურებს ქვეყნის დასაბამიდანვე...

ნაძვი. — ეს პატივი თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ, ჩვენო მეფევ და წინამძღოლო!..

მუხა. — თქვენა ხართ, ნაძვო? სამწუხაროდ, მეტისმეტად დავბერდი და დავუძლურდი, თვალთაც მაკლია, მკლავიც აღარ მემორჩილება... არა, ჩემო ძმაო, ეს პატივი უფრო თქვენ გეკუთვნისთ, რადგან თქვენ ყოველთვის მწვანედ გამოიყურებით, ტანში ისევ ისე გ:მოჭიმული ხართ და ამასთანავე თქვენა ხართ მოწამე მრავალი ხეების დაბადებისა. ჩემი აზრით, თქვენ გეკუთვნით პატივი ამ კეთილშობლურ მოქმედებისათვის, რომელმაც სამუდამოთ ყველანი უნდა გაგვანთავისუფლოს...

ნაძვი. — გმადლობთ, მამა... მოგეხსენებათ, ეს ბავშვები ჩემი დასამარხი გ`ხლავან და მეშინია, ვაი თუ ჩემს ძმებს შეჰშურდეთ ეგ პატივი, რომელსაც თქვენ მაკისრებთ. ისევ წიფელს მივანდოთ ეგ საქმე: ჩვენს შემდეგ ყველაზე ღირსი, ყველაზე უფროსი ეგ არის. ამასთანავე მაგის კომბლები საუკეთესოა...

წიფელი. — აბა რასა ბძანებთ, განა არ იცით, რომ ჭიანაჭამი ხე ვარ: ჩემი კომბალი რათ ვარგა?.. ისევ თელას, ან ალვის ხესა სთხოვეთ...

თელა. — მე დიდი სიამოვნებით დავთანხმდებოდი, მაგრამ წუხანდელმა ქარმა მეტად დამაზიანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალვის ხე. — რაც მე შემეხება, მზად ვარ, მაგრამ ნაძვსა იყოს, მეც მედება წილი მაგათ დამარხვაში... მაგათ საფლავზე მე ვიქნები დამტირებელი... ისევ ჭადარს სთხოვეთ...

ჭადარი. — მეე? რასა ბძანებთ, ჩემი ხე მაგათ სხეულზე ნორჩია. გარდა ამისა, არ ვიცი რა მემართება. სიცხე მაქვს მგონი, სულ ვკანკალებ. შეხედეთ ჩემს ფოთლებს... ალბად დღეს დილით თუ გავ-ციოდი...

მუხა. (გაჯავრდება) სირცხვილი!.. ადამიანისა გეშინიათ, გრცხვენოდეთ... თქვენ გაშინებთ რალაც უჩინარი ძალა, ეს უიარალო, მარტოხელა ბავშვიც-კი... აი სწორედ ამ შიშმა დაგვლუპა და ადამიანის-მონებად გაგვხადა... კმარა!... რაკი ესეა, რაკი მოგვეცა მოულოდნელი შემთხვევა, მე, მოხუცი,— ბრმა, დასახიჩრებული, მარტო მე შევებრძოლები მტერს... (ტილტილისაკენ მიდის).

ტილტილ. — როგორც ვატყობ, მაგ მოხუცს ჩემი ჯავრი სჭირებია... (დანას ამოიღებს)

ხეები (შეშინებულნი) ფრთხილად, ფრთხილად! დანა ჰქონია... დანა!!.

მუხა. (ხეები არ უშვებენ)

— გამიშვით, გამიშვით... გინდ დანა იყოს, გინდ ცული, მე არაფრისა მეშინია... ნუ მიჭერთ... ვინ არის, რომელი მიჭერს?.. არა გრცხვენიათ?.. სირცხვილი! (ჯოხს გადააგდებს)

პირუტყვებო, თქვენ მაინც დაგვიხსენით...

მოზვერი. — აქამდის მეტყოდით, მე მზადა ვარ. მაგას ერთი რქაც ეყოფა...

ფურა და ხარი. (კუდს დაუჭერენ) — რა შენი საქმეა... სისულელე არ ჩაიდინო! ბოლოს ჩვენვე გაგვიხდება სანანულად... დაანებე თავი, ეს გარეულ პირუტყვების საქმეა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზვერი. — არა, არა, ჩემი საქმეა... არ გამიშვათ, თორემ ... დურებას მოვახდენ რასმე...

ტილტილ. (მიტილს) — ნუ გეშინია... მე ამომეფარე... აი დანა აქა მაქვს. ისეთ დღეს დავაყენი, რომ...

მამალი. — რა მკვეხარა ყოფილა ეგ პატარა!..

ტილტილ. — მაშ ჩემი ჯავრი გჭირებიათ ჰა?..

ვირი. — მხოლოდ ახლა მიხვდი, შე სულელო?

დედა. — ილოცე, ილოცე... შენი უკანასკნელი საათია... მაგ გოგოს ნუ ეფარები... დამანახე, ერთი თვალი გავიძლო კარგად, რადგან პირველად მაგას შევჭამ...

ტილტილ. — რაჯა, რა დაგვიშავებია თქვენთვის?..

ცხვარი. — არაფერი, არაფერი... შენ ძმა შემიჭამე, ორი და, სამი ბიძა, დეიდა, პაპა, ბებია... დაიცა, დაიცა, როცა წაგაქცევენ, მაშინ იგრძნობ, რომ კბილები მეცა მაქვს...

ვირი. — ... და მე ჩლიქები...

ცხენი. (თავმომწონედ) — სეირს გიჩვენებთ, დამაცადეთ... კბილებით დაგგლიჯოთ, თუ წიხლებით გაგანადგურეთ, როგორც გნებავთ, აირჩიეთ.

(თავმომწონედ და გაბედულად მირბის ტილტილისაკენ. ტილტილი დანას უჩვენებს თუ არა, ცხენი უცებ ზურგს შეუქცევს და გაიქცევა).

— არა, ეგ ჯერი არ არის. ხელში დანა უჭირავს...

მამალი. — დახე, დახე, ვერ უყურებ მაგ პატარას, როგორი ყოჩაღი ყოფილა!..

დედა. (დათვსა და მგელს) მოდით სამნივე, ერთად მივაწვეთ, წავაქციოთ და პატარა ქალი შევჭამოთ...

მგელი. — თქვენ აქ გაართეთ, მე უკანიდან მოუვლი...

ტილტილ. — აი, შე იუდავ... ტილ!-ტილ!-ტილ!.. მიშველე!.. კატა სადღაა?!.. ტილეტ! ტილ მიშველე...

კატა. (მუზმუზელას კილოთი) — არ შემიძლია... ფეხი მეღრძო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილტილ. [რამდენადაც შეუძლია თავს იცავს] ტილ! — ტილ! მიშველე, მეტი აღარ შემიძლია... ბევრნი არიან... დათვი, ლორი, მგელი, ვირი, — ყველანი ჩემზე მოდიან... ტილ: ტილ!

ძაღლი. (აეშვება და მორბის) — აქა ვარ, აქ, ჩემო პატარა ღმერთო!.. ნუ გეშინია, ნუ გეშინია... ეს შენ, დათვო... გიკბინე თუ არა, ჰეი!.. ვის უნდა ჩემი კბილები იგემოს, მობძანდით!.. ესეც შენ, ლორო!.. აჰა, აჰა!.. მოზვერს კუდი მოვაკვნიტე, მოზვერს კუდი მოვაკვნიტე!.. ჭადარს შარვალი დაუფხრიწე!.. მუხას კაბა დაუგლიჯე!.. ნაძვი გარბის, გარბის... უჰ, როგორ დამცხა, როგორ დამცხა...

ტილტილ. (დაქანცული) — ამაზე მეტი აღარ შემიძლია... — ალვის ხემ თავში რაღაცა ჩამარტყა...

ძაღლი. (ღმუის) — ვაი, ვაი, ტირიფმა თათი მომტეხა...

ტილტილ. — აგერ მგელიც ჩვენზე მოდის. ყველანი ერთად იერიშით მოდიან...

ძაღლი. — მობძანდნენ... აქა ვარ, აქა... ისე დავუხვდები, როგორც შეჰშვენით...

მგელი. — ბრიყვო, სულელო... მითომ შენც ჩვენი ძმახარ!... არ იცი, რომ მაგის მშობლებმა შენი ლეკვები წყალში გადაჰყარეს?..

ძაღლი. — ძალიან კარგია, ძალიან კაოგი... ალბად ისინიც შენა გგვანდნენ...

ხეები და ბარუტქვები — მოღალატევ!.. იუდავ!.. სულელო, ბრიყვო!.. საძაგელო!.. ჩვენს მხარეზე გადმოდი, თორემ შენც სიკვდილი მოგელის...

ძაღლი. (სავსეა ერთგულებით. ყვირის) თავის დღეშიაც არა... არა, არა... მე შეგებრძოლებით მარტო ყველას, ყველას... მე ღმერთების ერთგული ვარ, ნამდვილ ღმერთების ერთგული... [ტილტილს) ფრთხილად იყავ, აგერ, დათვი მოდის ჩვენზე... მოზვერს — უფრთხილდი... ახლავე ყანყრატოში ვეცემი... —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი, ვაი, ვირმა წიხლი მომარტყა, ორი ბიდლი ჩამოვარ მამტვრია...

ტილტილ. (ღონე—მიხდილი) — ამაზე მეტი აღარ შემიძლია... ხო ჰხედავ, სისხლი დამდის...

ძალა. — მოიცა ჩემო პატარა ღმერთო, აგლოკავ და დაგიამდება... დახე, დახე, კიდეც მოდიან... აბა მოვემზადოთ... ნუ გეშინიან, შენ მე ამომეფარე, გამაგრდი, გამაგრდი...

ტილტილ. (სრულიად ღონე—მიხდილი დაეცემა)

— აღარ შემიძლია, ტილ, აღარ შემიძლია...

ძალა. — ვილაცა მოდის ჩვენ საშველად, სუნით გავიგე...

ტილტილ. — სად? ვინ?..

ძალა, — აგერ, აგერ სინათლე მოდის... მოგვაგნო, მოგვაგნო... ეგ დაგვიხსნის, ჩემო მეფევ... გვეშველა, გვეშველა... შეხედე, როგორ მირბიან, როგორ შეეშინდათ...

ტილტილ. — სინათლე! სინათლე! ჩქარა გვიშველე! ყველანი ამიჯანყდნენ... ყველანი ჩემ წინააღმდეგ არიან...

სინათლე. (შემოდის. რაც უფრო ახლოვდება, ტყე თან-და-თან განათდება.)

— ეს რა ამბავია?.. მიაბრუნე ჩქარა ალმასი, დაგავიწყდა?.. იმ-წამსვე გაჰქრებიან და ველარაფერს ვერ-ძნობ... (ტილტილ მიაბრუნებს ალმასს თუ არა, ხეებისა და პირუტყვების სულები იმ-წამსვე გაჰქრებიან. მოსჩანს მხოლოდ ტყე, და შორს მინდორში ფური, მოზვერი, ცხვარი და სხვა, რომელნიც მშვიდად და წყნარად ბალახსა სძოვენ. ტილტილ გაკვირვებული აქეთ-იქით იყურება.)

ტილტილ. — სად არიან?.. რა მოეჩვენათ, გაგიჟდნენ თუ?..

სინათლე. — ეგენი ყოველთვის ეგეთები არიან, მაგრამ თქვენ ვერა ჰხედავთ... აკი გითხარი, უჩემოთ მაგათი გამოლვიძება საშიშია-მეთქი...

ტილტილ. (დანასა სწმენდავს) — ეს დანა რომ არა მქონოდა, და ტილ აქ არა ყოფილიყო, ცუდად იქნებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საქმე... არ მეგონა, თუ ეგეთი ავადმყოფები ბოდნენ...

სინათლე. — ხომ დარწმუნდი, რომ ამ ქვეყნად ადამიანი მარტოთ მარტოა მაგათთან საბრძოლველად...

ძალა. — გტკივა რამე, ჩემო პატარა ღმერთო?..

ტილტილ. — არა უშავს-რა... შენ, ჩემო ტილ გასისხლიანებული თავი გაქვს... თათიც მოგტეხეს...

ძალა — სალაპარაკოთაც კი არა ღირს: ხვალამდის ყველაფერი მომირჩება... მაგრამ მაინც ძნელი საქმე იყო, ძალიან ძნელი...

კატა. (ბარდებიდან გამოდის, კოჭლობს.) ძნელი საქმე იყო, მაშ!.. მოზვერმა შიგ მუცელში მატაკა თავისი ბასრი რქა. ჭრილობა არა სჩანს, მაგრამ მაინც ძალიან მტკივა... მუხამ კიდევ თათი მომტეხა...

ძალა — ნეტა ერთი დამანახვა, რომელი თათი მოგტეხა!..

მიტილ. (კატას უალერსებს) — საწყალი ტილეტ... საწყალი კატუნია... შენ სადღა იყავ, რომ არ დამინახავ-ხარ?..

კატა. (ფარისევლურად) — დასაწყისშივე დამჭრეს... ღორი რომ ამბობდა შენზე—უნდა შევჭამოო, მე იმ წამსვე ვეცი, სწორედ ამ დროს მუხამ ისე ღონივრად ჩამაჭიტყა თავში, რომ გულშეწუხებული წავიქეცი...

ძალა. (კბილების კრაჭუნით) — აი, შე საძაგელო ფარისეველო! დამაცადე, დამაცადე!.. ჩაგიგდებ მარტოს ოდესმე... გიჩვენებ სეირს!..

კატა. [ტირილის კილოთი მიტილს] — გესმის, როგორ მემუქრება?.. რაღასაც მიპირებს...

მიტილ. (ძალს) გაანებე თავი კატუნიას, შე საძაგელო, შენა...

(ეგელანი გადიან)

(ფარდა.)

გ. ჯაბადარი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგული ბავშვის თავგადასავალი.

III.

მეუდაბნოვე.

ერთხელ, როდესაც ყაჩაღები შინ არ იყვნენ და დედა-ბერსაც მაგრად ეძინა, ჰენრიხმა აიღო სანათი და სთქვა:

— მინდა გავიარო სიბნელე (სიბნელეს ჰენრიხი ხვრელს ეძახდა) და ვიპოვნო.

გაუდგა გზას. გზა ბნელი და გრძელი იყო. მივიდა ერთ ადგილას, სადაც გზა ორად იყოფოდა. ბავშვმა არ იცოდა საით უნდა წასულიყო, მაგრამ მარჯვნივ წასვლა ამჯობინა და გასწია. სანათი მთლად მიილუღა და ბოლოს სულ გაქრა. პატარა ჰენრიხმა ერთხანს ვერაფერი დაინახა. ის იყო მარტო, ირგვლივ კი საშინელი სიბნელე მეფობდა. უცებ ბავშვმა თვალი მოჰკრა სინათლეს.

— იქ უეჭველად ყაჩაღები არიან,—იფიქრა მან: —უნდა დავეწიო!--და რაც ძალა და ღონე ჰქონდა გაიქცა სინათლისკენ.

სინათლე თანდათან მატულობდა. ბოლოს მთლად განათდა ყველაფერი და ჰენრიხი მივიდა იმ ადგილას, სადაც ხვრელი თავდებოდა. სუფთა და გრილი ჰაერი იყო ირგვლივ. ბავშვი გაძვრა გარედ და პირველად დაინახა დედამიწა და მისი სიმშვენიერე. გაკვირვებულმა ჰენრიხმა შესძახა:

— ოჰ, აქ რამოდენა და რა ლამაზი გამოქვაბული ყოფილა! ჩვენ გამოქვაბულზე გაცილებით ლამაზია.

ეს მოხდა დილით ადრე. ბავშვმა პირველად დაინახა ბალახი და ხეები. ამ დროს მზემაც ამოჰყო თავი. ძალიან გაოცებულმა ბავშვმა შესძახა:-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უზარმაზარი და ჩალი სანათია! ბალახიც ასეთი
მე არას დროს არ გამიკეთებია ამდენი და ასეთი ლამაზი ბალახი.

უცებ შეამჩნია პატარა ბატკანი.

— აქ ცხვარიც კი ყოფილა,--შესძახა გაკვირვებულმა ბავშვმა:—მაგრამ ეს ბევრად უფრო დიდია ჩემ ცხვარზე. მე მინდა ამ ცხვართან თამაშობა! მაგრამ როდესაც ჭენრიხმა ცხვართან მიირბინა, ცხვარი წამოხტა და შეჰბღავლა: „მე-ე“! ამან ჭენრიხი ძალიან გაამხიარულა, თანაც ცოტა არ იყოს გააკვირვა.

— რა მშვენიერია! შენ ლაპარაკიცა და ადგომაც შეგიძლია? ჩემ ბატკანს არც ლაპარაკი შეუძლია, და არც ადგომა. შენ ძალიან კარგი სათამაშო ხარ!

ჭენრიხმა მეცხვარე დაინახა, გაეშურა მისკენ და უთხრა:

— ყაჩაღო, ეს შენი გამოქვაბულია?

— მე ყაჩაღი არა ვარ, — უთხრა წყენით მეცხვარემ.

— აქ სად ხედავ გამოქვაბულს? ვინ ხარ შენ თითონ, საიდან მოხვედი?

— მე მოვედი აქ ჩვენი ბნელი გამოქვაბულიდან. ეს გამოქვაბული ჩვენსაზე უფრო ლამაზი და წითელია შენი სანათიც უფრო დიდი და ჩალია. მარტო შენ გააკეთე ეს ბალახი, თუ სხვა ყაჩაღებმაც გიშველეს?

მეცხვარე, რომელსაც ხშირად გაეგონა ყაჩაღების ამბავი, ძალიან შეაშინა ბავშვის ასეთმა ლაპარაკმა. ის დააცქერდა ბავშვს და გაიფიქრა: „ეს ბავშვი არა ჰგავს ყაჩაღის შვილს. უეჭველად მოპარული ბავშვია. შეიძლება მალე მოვიდნენ ყაჩაღები და წაიყვანონ. არა, ამ ბავშვის აქ დატოვება არ შეიძლება“.

ერთ ხელში ბავშვი დაიჭირა, მეორეში-ბატკანი, გარეკა ცხვარი და გაუდგა გზას. მალე მივიდა პატარა ქოხთან, სადაც მოხუცი მეუდაბნოვე ცხოვრობდა. მეუდაბნოვე ღვთისნიერი და კეთილი კაცი იყო. ხალხს ძალიან უყვარდა მოხუცი, რადგანაც შველოდა მათ რითიც და როგორც შეეძლო.

მეცხვარე შევიდა ქოხის წინ გაშენებულ პატარა ბაღში, რომელშიაც მეუდაბნვე იჯდა ხის ძირში და დავითს კითხულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხვარემ უამბო მოხუცს ბავშვის თავგადასავალი. მეუდაბნოვემ სთქვა:-

— არა, ეს ყაჩაღების ბავშვი არ უნდა იყოს. ბავშვი ნაზი აგებულებისაა; ეტყობა მდიდარი დედ-მამის შვილია. ალბად ძალიან პატარა იყო, როდესაც მოიპარეს. დარჩეს ჩემთან ეს ბავშვი. აქ ყაჩაღები არ მოვლენ, რადგანაც იციან, რომ მე არც ოქრო და არც ვერცხლი არა მაქვს. მოსატაცებელს ვერას იპოვნიან ჩემთან.

მეცხვარემ მადლობა გადაუხადა მეუდაბნოვეს, აჩუქა ბავშვს ბატკანი და წავიდა.

ჰენრიხმა დაუწყო ბატკანს თამაშობა. მოხუცმა უთხრა:-

— საწყალო ბავშო, როგორ ფერმკთალი და სუსტი ხარ! არა გყავს ან დედა, ან მამა?

— როგორ არა,—მიუგო ბავშვმა,—მე მყავს მარტო დედა. შეხედე, დედა-ჩემი აქ არის!— და პატარა ჰენრიხმა უჩვენა მოხუცს დედის სურათი, რომელიც თან წამოელო.

მოხუცმა სურათი რომ დაინახა, სთქვა:—

— რა მშვენიერი ქალია! ეტყობა-თავადის ან გრაფის ჩამომავლობისაა. დიახ, ცხადია, რომ ბავშვის დედა უნდა იყოს. ამ ბავშვს სწორედ ამ ქალის ტუჩები და თვალები აქვს. ჩვენ უნდა შევინახოთ ეს სურათი, სანამ არ ვიპოვით ამ ბავშვის მშობლებს.

ჰენრიხმა ბალი დაათვალიერა, და რა დაინახა შიგ სხვადასხვა ლამაზი ყვავილები, გაკვირვებულმა ჰკითხა მოხუცს:

— როგორ გააკეთე ასეთი ლამაზი ყვავილები: შენც გაქვს ფერადი ქაღალდები?

— არა,—უთხრა მოხუცმა,—ესყვავილები მე არ გამიკეთებია: კეთილმა ღმერთმა გააჩინა ყველა ეს.

— ვინ არის ღმერთი, ყაჩაღების წინამძღოლია?—იკითხა ბავშვმა.

— არა,—უთხრა მოხუცმა: - ღმერთის შესახებ შენ არაფერი გაგიგონია?

— არაფერი,—მიუგო ბავშვმა:—ის ჩვენ გამოქვაბულში არა ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რო მოხუცმა გაიგონა, გაიფიქრა: „ალბად ბავშვი იმას ამბობს, რაც ყაჩაღებისაგან გაუგონია“.

მოხუცმა შეიყვანა ჰენრიხი ქოხში. ქოხი შიგნიდან პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი იყო. მეუდაბნოვემ დააწყო მაგიდაზე თაფლი, პური და ხილი და მიიპატიჟა ბავშვი.

ბავშვმა უთხრა:

— შენ აქ ძალიან ბევრი და კარგი საჭმელი გქონია! ალბად კარგი ნადავლი მოგიტანია.

— მე ყაჩაღი არა ვარ,—მიუგო მოხუცმა,—და არც ნადავლი მომაქვს სახლში. ყველა ეს ჩემ ბაღში მოდის. პურსაც ხორბლისაგან ვაკეთებ; თაფლს კი ჩემი ფუტკრები მიკეთებენ. ყველა ამას კი ღმერთი მაძლევს!

როდესაც ჭამა გაათავეს, მოხუცმა აიღო სარწყავი და წავიდა ყვავილების მოსარწყავად. ბავშვმა რომ ეს შენიშნა, უთხრა:—

— კეთილო კაცო, ნუ დაასხამ ყვავილებს წყალს, გაფუჭდება! ერთხელ ჩამივარდა ყვავილი წყალში და მთლად გაფუჭდა.

— მართალია,—უთხრა მოხუცმა,—ქალალდის ყვავილი წახდებოდა, მაგრამ ეს ხომ ქალალდისა არ არის? ეს ყვავილები მიწიდან ამოდის და ნესტიან მიწიდან სწოვენ მუდამ წყალს, რომ მიწა დასველდეს და ყვავილებმა დალიონ წყალი.

მთელი დღე დასდევდა ბავშვი მოხუცს. ის უხსნიდა და უჩვენებდა მას სხვადასხვა საგნებს, რომელიც ბავშვს არ ენახა თავის დღეში. საღამოთი, როცა მზემ უკანასკნელი სხივი გაჰკრა დედამიწას და ჩავიდა, ბავშვმა შეჰყვირა:—

— შეხედე, შეხედე, ის მშვენიერი სანათი ხვრელში ჩავარდა!

— არა,—უთხრა სოხუცმა.—მზე მხოლოდ ჩავიდა. ხვალ დილით ის ისევ ამოვა და გაანათებს ქვეყნიერებას. ახლა კი, ჩემო საყვარელო ბავშვო, დაწექი შენ ლოგინში, რადგანაც ძალიან დაღალული და დასუსტებული ხარ.

ბავშვმა შეხედა ლოგინს და გაუკვირდა. მას აღარ ახსოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რა იყო ლოგინი. ჰენრიხი მართლა ძალიან დაღალული იყო და, დაწვა თუ არა, მაშინვე მაგრად დაეძინა. მოხუცი კი კიდევ დიდხანს იყო ზეზე და ლოკულობდა.

მთელი ზაფხული დაჰყო ბავშვმა მეუდაბნოვესთან. ჰენრიხი მოლონიერდა და გამოკეთდა. ბევრი რამ ისწავლა. მოხუცი ბევრს ელაპარაკებოდა ღმერთსა და ბუნებაზე.

IV.

რაინდი.

როდესაც ზაფხული მიიწურა და შემოდგომა მოახლოვდა, მეუდაბნოვემ უთხრა ბავშვს:

— ხვალ დილით უნდა წავიდეთ შენი მშობლების საძებნელად. თუ ღმერთი ინებებს—მალე ვიპოვნი. მე უკვე ღრმა მოხუცი ვარ, და მეშინია—ჩემი სიკვდილის შემდეგ უპატრონოდ არ დარჩე.

დიდხანს იმოგზაურეს პატარა ჰენრიხმა და მეუდაბნოვემ. შემოიარეს ყველა ქალაქები და სოფლები. ბავშვს ძალიან უკვირდა, ბავშვებს და ქალებს რომ ხედავდა. იმას ეგონა, რომ ქვეყანაზე ბავშვი ის იყო მარტო, ქალი კი—მარტო ყაჩაღების დედაბერი.

ერთ დღეს ჩვენი მოგზაურები მიადგნენ მინდორს, სადაც ახალგაზდა ქალი ბატებს აძოვებდა. ის მწარედ სტიროდა და მოსთქვამდა.

მეუდაბნოვე მივიდა მასთან და მზრუნველობით ჰკითხა:

— შვილო ჩემო, მითხარი, რად სტირი ასე მწარედ? არ შემიძლია რითიმე დაგეხმარო?

— ოჰ, არა!—უპასუხა მტირალმა ქალმა.—ჩემი შველა არავის შეუძლია. მას შემდეგ, რაც ქალბატონის თხოვნა არ შევასრულე, მშვიდობიან მოსვენებას ველარ ველირსე. მე მას სიტყვა მივეცი, რომ არ მოვშორდებოდი მის ერთად ერთ შვილს; მაგრამ ერთხელ, როდესაც ბავშვს ეძინა, ეზოში გავედი სხვა მსახურებთან ერთად საცეკვაოდ. ბავშვი მარტო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვტოვე. სწორედ იმ დროს მოიპარეს ბავშვი, და დარჩა დედა მისი სამუდამოდ გაუბედურებული. მე მხოლოდ მაშინ მეშველება, როცა ბავშვს ვიპოვნი და დედა-მისს დავუბრუნებ. აგერ ექვსი წელიწადია დღე-და-ღამ გამუდმებით ვეეედრები ღმერთს და ვსთხოვ ბავშვი მაპოვნინოს.

მეუდაბნოვე ერთობ გააოცა ქალის ნალაპარაკევმა და უთხრა:—

— შვილო ჩემო, ადვილი შესაძლებელია, რომ ღმერთმა უკვე ისმინა ვედრება შენი! იცნობ ამ ქალს?—და უჩვენა სურათი.

— ეს ხომ ჩემი საყვარელი ქალბატონია!—შეჰყვირა ახალგაზდა ქალმა.—ეს სურათი მოიპარეს ბავშვთან ერთად. კეთილო მოხუცო, საიდან ჩაგივარდათ ეს სურათი ხელში?

მეუდაბნოვემ მიიყვანა მასთან ბავშვი. ქალმა რომ ბავშვი დაინახა, გაკვირვებულმა და გახარებულმა შეჰყვირა:-

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ პატარა გრაფი ჰენრიხ ეიხენფელსია. როგორ ჰგავს თავის დედას!

მან ჩაიკრა ბავშვი გულში, ჰკოცნიდა და თან მეტის სიხარულით სტიროდა.

ქალმა სთხოვა მეუდაბნოვეს ბავშვი მალე მშობლებთან მიეყვანა.

— აქედან ძალიან შორს არიან,—უთხრა მარგარიტამ:— თითქმის სამი დღის სავალია. მეც წამოვალ და გიჩვენებთ გზას. მხოლოდ ჯერ უნდა გამოვეთხოვო ჩემ ბატონს.

როდესაც გაიგო მისმა ბატონმა, საქმე რაში იყო, მარგარიტა მაშინვე გაანთავისუფლა და უთხრა:

— წაიყვანე, კეთილო ქალო, ეს ბავშვი თავის დედასთან უბედურ დედისთვის ისიც საკმაოა, რაც აქამდის იტირა და იტანჯა.

მეუდაბნოვე, ჰენრიხი და მარგარიტა დაადგნენ ეიხენფელსების კოშკისკენ მიმავალ გზას. ორი დღე განუწყვეტლივ იარეს. მესამე დღეს, ბინდისას, შევიდნენ დაბურულ ტყეში და მიადგნენ ერთ სასტუმროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშინებულმა მარგარიტამ უთხრა მეუდაბნოვეს:

— ჩემი აზრით ამ სასტუმროში ღამე დარჩენა არ შეიძლება. აქ ისეთი ადგილია, რომ ყაჩაღები ადვილად მოვლენ და ბავშვს ისევ წაგვარეცმევენ.

ამაზე მეუდაბნოვემ უპასუხა: —

— შვილო, ჩემო, ყველანი ღვთის ხელში ვართ და იმედი მაქვს ის დაგვიფარავს გასაჭირისაგან.

მარგარიტამ ბავშვი დააწვინა და თვითონაც დაწვა. მოხუცი კი მიუჯდა მაგიდას და დაიწყო ლოცვანის კითხვა.

ირგვლივ სიჩუმე იყო. ღამის ათი საათი იქნებოდა. უეცრად საშინელი ხმაურობა მოისმა. ვილაცამ კარებს მძლავრად დაუწყო ბრახუნი. ყველას ეშინოდა, და კარების გაღებას ვერა ბედავდნენ. მარგარიტა შიშით ძლივს ლუღლუღებდა: —

— უეჭველად ყაჩაღები არიან! ბავშვს ისევ მოგვტაცებენ.

— გაჩუმდი და ეცადე არავის გააგებინო, თუ მანდა ხართ. მე კარებს გავაღებ. ღმერთი მოწყალეა! — უთხრა მეუდაბნოვემ.

მან გააღო კარები. ოთახში შემოცვივდნენ ჯარის კაცები ყვირილით: —

— გაუმარჯოს სამშობლოს! გაუმარჯოს მშვიდობიანობას! ომი გათავდა, და ახლა ჩვენ ცოლ-შვილთან მივდივართ. ჩვენი მეთაურიც აქ არის.

— აბა, ძვირფასო მასპინძელო, მოგვიმზადე ჩქარა ვახშამი!

სასტუმროს პატრონს ერთობ ესიამოვნა ეს ამბავი და დიდი სიხარულით შეუდგა ვახშმის მზადებას. მალე მოვიდა ჯარის კაცების მეთაური. ის მოუჯდა მაგიდას და სთქვა: —

— ძალიან მიხარია, რომ ამ დროს აქ ვხედავ ღვთის კაცს. აგერ ექვსი წელიწადია, რაც ჯარის კაცების გარდა სხვა ადამიანი არ მინახავს. ახლა კი შინ ვბრუნდები. აქედან ახლოა ჩემი სახლი.

— თქვენ ვინა ბრძანდებით? — ჰკითხა მეუდაბნოვემ,

— მე გახლავართ გრაფი ეიხენფელსი! — მიუგო რაინდმა.

— გყავთ მეუღლე და შვილი? — ჰკითხა ისევ მოხუცმა.

— დიახ. სახლში მყავს დატოვებული მეუღ ე და ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ვაჟი. პირველ წელს ჩემი მეუღლე ხშირად მწერდა წერილებს და მატყობინებდა ჩემი შვილის ამბავს, მაგრამ აგერ ექვსი წელიწადია ბავშვის შესახებ არაფერი მოუწერია. მისი წერილები მუდამ სევდიანია, და ვშიშობ, ვაი თუ ჩემი ბავშვი მძიმე ავათმყოფია; ან იქნებ მოკვდა კიდეც. ძალიან, ძალიან მეშინია! მაგრამ სჯობს ამაზე არ ვილაპარაკოთ. ხვალ სახლში მივალ და ყველაფერს გავიგებ. მითხარი ახლა შენ, კეთილო მოხუცო, რატომ მოგზაურობ ამ დაბურულ ტყეში?

მეუდაბნოვემ უამბო ნაპოვნი ბავშვის ამბავი და უთხრა ისიც, რომ ახლა ისინი ეძებენ ბავშვის მშობლებს.

— აქ მაქვს ბავშვის დედის სურათი,—დასძინა მან და მიაწოდა სურათი.

— ეს ხომ ჩემი მეუღლეა!—შეჰყვირა გაკვირვებულმა რაინდმა.

— დიახ, თქვენი მეუღლეა,—უთხრა მოხუცმა,—და ის ბავშვიც თქვენი შვილია!

— სად არის ჩემი შვილი? მალე მინდა ვნახო!—იძახდა ბედნიერი მამა.

მოხუცმა შეიყვანა ის საწოლ ოთახში. რაინდმა რომ მძინარე ბავშვი დაინახა, სიხარულით ტირილი დაიწყო.

მაგრამ როდესაც თავისი მეუღლე მოაგონდა, დაღონებულმა სთქვა:

— ოჰ, ჩემო საცოდავო მეუღლევ! შენ არ გინდოდა შეგეტყობინებინა ჩემთვის ეს სამწუხარო ამბავი, რადგანაც იცოდი, რომ მე ვალდებული ვიყავი ომის გათავებამდის დავრჩენილიყავი ბრძოლის ველზე, სამშობლოს დასაცავად. იცოდი, რომ ეს ამბავი მეტად შემაწუხებდა, შველით კი ვერას გიშველიდი. ვიცი, რომ თვალზე ამ ხნის განმავლობაში ცრემლი არ შეგაშრებოდა. უთოოდ ახლაც სტირი, და ის კი არ იცი, რომ ბავშვი უკვე ნაპოვნია. მე ახლავე უნდა გავეშურო ჩემ მეუღლესთან.

— არა,—უთხრა მოხუცმა:—დარჩით თქვენ შვილთან. მე თითონ წავალ თქვენ მეუღლესთან, ყველაფერს ფრთხილად გავაგებინებ. მხოლოდ ცხენი მათხოვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი; თქვენ მართალს ბრძანებთ! — უთხრა [illegible]

მოხუცი შეჯდა ცხენზე და დილით ადრე გაემართა ეიხენ-ფელსების კოშკისკენ.

V.

შეხვედრა.

რაინდის მეუღლე იჯდა ბაღში და სტიროდა. მეუდაბნოვე მივიდა მასთან და ჰკითხა:-

— კეთილო ადამიანო, რათა სტირით ასე?

— ხვალ ჩემი მეუღლე უნდა დაბრუნდეს სახლში, და ეს მატირებს! — უთხრა ქალმა გულამოსკვნილი ტირილით.

— განა არ გიყვარს შენი ქმარი? – ჰკითხა გაკვირვებულმა მოხუცმა.

— ოხ, მიყვარს, ძალიან მიყვარს! ის ხვალ ბედნიერი და გახარებული შემოვა თავის სახლში, სადაც უბედურების მეტი არაფერი დახვდება. აი ეს მიკლავს გულს, და ამიტომ ვსტირი. იმას შინ ეგულება თავისი ერთად-ერთი შვილი, და ის კი არ იცის, რომ ბავშვი რამდენი ხანია აღარა გვყავს.

— ბავშვი მოგიკვდათ? – ჰკითხა მოხუცმა.

— არა, ექვსი წელიწადი შესრულდა, რაც ბავშვი მომპარეს, — უთხრა გულდამწვარმა დედამ.

— იქნებ იპოვნოთ ბავშვი. რატომ დაგიკარგავთ იმედი, — გაამხნევა მეუდაბნოვემ. — დამიგდეთ ყური! მე ვიპოვნე ერთი ბავშვი, ისიც თქვენი ბავშვივით პატარაობისას მოუპარავთ. ექვსი წელიწადი სცხოვრობდა ბნელ გამოქვაბულში. ღმერთმა უშველა და გამოაგნებინა გზა. ახლა კი ბავშვი მამა-მისს ჩავაბარე.

— რა ბედნიერნი და გახარებულნი იქნებიან იმისი მშობლები, — სთქვა ტირილით ქალმა. — რა სთქვა მისმა დედამ, როდესაც ბავშვი დაინახა?

— ჯერ დედა-მისს არ გაუგია ბავშვის პოვნა, — უთხრა მოხუცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, კეთილო მოხუცო, გაეჩქარე და შეატყობინე ლუბე-
დურ დედას ეგ სასახარულო ამბავი!

მეუდაბნოვემ უთხრა:

— მადლობა შესწირე ღმერთს, კეთილო ადამიანო, რა-
დგან მან დიდი სიკეთე გიყო შენ!

ახლა კი მიხვდა საწყალი ქალი, რომ ბედნიერი დედა
თითონ იყო, და სწორედ მისი შვილი ყოფილა ნაპოვნი.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა გრაფიც თავისი პატარა შვი-
ლით და ეიხენფელსების კოშკში გამეფდა უსაზღვრო სიხარუ-
ლი და ბედნიერება.

ნინო ნინიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების მოტრფიალე.

(ერთ — მოქმედებიანი ზიესა — სურათი)

მოქმედნი პირნი:

ფერია სილამაზისა.
ფერია სიმდიდრისა.
ფერია სიბრძნისა.
ფერია ხელოვნებისა
ფერია სიყვარულისა.
ფერია სიცოცხლისა.
ფერია თავისუფლებისა.
ჭაბუკი მოგზაური.

ფერიებს აცვიათ ნაზი ფერადი ტანსაცმელი, ჩადრების მზგავსი თავსაფარები აქვთ მოგდებული, და გრძლად ჩაშვებული.

თავზე მანდილების ზემოთ 4 ფერიას ყვავილების გვირგვინი უკეთიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერიას სიმდიდრისას კი თავი აქვს დაგვირგვინებული ძვირფასი გვირგვინით, და თვითონაც ძვირფასად არის მორთული.

თავისუფლების ფერია სრულიად თეთრ სამოსელშია. მხრებზე ჰაეროვანი, გრძელი თეთრი მარმაში აქვს წამოსხმული. თავი დამშვენებული აქვს ორი გრძელი შავი ნაწნავით (შეიძლება შუბლის ზემოდ ბჭყვრიალა ვარსკვლავი ჰქონდეს).

ხელოვნების ფერიას უკავია ქნარი.

ჭაბუკს აცვია ქულაჯა და ჰხურავს ბეწვის დაბალი ქუდი.

სცენა წარმოადგენს მშვენიერ ბაღს ფერიათა სამფლობელოში. მაღლობზე, ბაღის თავში, მოსჩანს სასახლე. მარმარილოს კიბე ჩამოდის თვით ბაღში. ბუჩქის ძირას სძინავს ჭაბუკს.

ფერიები მწყობრი სიმღერით ჩამოტქრიალდებიან კიბიდან და გარს შემოეხვევიან მძინარე ჭაბუკს.

ფერიათ სიგანთიადის სიმ. უკვე დაჭკრა. ფრინველთ გუნდმა დამაზისა. დასძახა თვისი მრავალკილოიანი ჰანგი. მცენარეები შეშრიალდნენ და სალამი უძღვნეს გამოტყორცნილ მზის სხივებს!.. ამ მოგზაურს კი ჯერ ისევ სძინავს. ახ! ნეტავი კი მალე გამოიღვიძებდეს! მე მინდა ჩავხედო თვალებში. მე მგონია თვალები უნდა ჰქონდეს ძვირფას ზურმუხტის ფერი. მოკამკამენი, როგორც ზაფხულის ღამის ვარსკვლავნი... ან ნაზი ცისფერი, როგორც გაზაფხულის ია... და ბუჩქების მაგიერ იმათ სჩრდილავენ გრძელი და ხშირი შავი წამწამები!..

ფერიათ სიცოცხლისა. ნუ გააღვიძებთ, დაიებო, ჩვენ ძვირფას სტუმარს. დეე თვითონ გაიღვიძოს, დასტკბეს და გაიცდეს ჩვენი სამფლობელოს დიდება-შვენებით...

ფერიათ სიბრძნისა. რასაკვირველია, მას ვერც კი წარმოუდგენია, რომ ახლა იგი ჩვენი ტყვეა. ტყვე სამარადისო ფერიათა გრძნეულ სამეფოსი!..

ფერიათ სიმდიდრისა. იგი უცაბედად შემოსულა ჩვენ სამფლობელოში, მისი დიდებული სანახაობა იზიდავს გულს ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცისას. მხოლოდ ამ მოგზაურს მხარი შესცვლია და გასავალ კარს ასცდენია. მიწოლილა მოქანცული ამ ბუჩქის ძირას, დასძინებია საწყალს იმ იმედით, რომ რიჟრაჟზე კვლავ შეუდგეს გზა-კვალის ძებნას, და ის კი არ იცის, რომ ამ წამიდან იგი ჩვენი ტყვეა. დღეიდან იგი ისეირნებს ჩვენს ბაღში, დასტკბება მისი შვენებით, დაჰყნოსავს ია-ვარდს, მოისმენს მშვენიერ ჰანგებს... მხოლოდ ჩვენი სამეფოს კარს კი ვერ გასცილდება.

5 ფერია. (ერთხმად) იგი ჩვენი ტყვეა! ტყვე სასურველი და სამარადისო!!..

ფერია სიტყვიერისა. ეს ტყვეობა მისთვის ნეტარებით იქნება აღსავსე. იგი იცხოვრებს დიდებულად. ჩვენს შორის მას მოელის სიხარული, ნეტარება, სრული კმაყოფილება. ყოველივე ჩვენგანი მიანიჭებს მას ბედნიერებას...

ფერია თავისუფლებისა. (ფეხით გაიქნევს თავს, ჩამოშორდება ფერიებს, ჩამოჯდება მახლობლად, თავს ერთ ხელზე დაუშვებს და ყურს უგდებს ფერიების ბაასს.)

ფერია სილამაზისა. დიახ! და პირველი მე, ფერია სილამაზისა — დავაჯილდოვებ მას მხიბლავი შვენებით. ჩავაშუქებ მის თვალების სილრმეში მოელვარე სხივებს. მის სახეზე დავაბნევ სურნელოვან, ნაზ ვარდის ფურცლებს და თავს დავუმშვენებ ძვირფასი გიშრის ფერი თმით. ყველა მნახველი მოიყრის მუხლს მისი სილამაზის წინაშე.

ფერია სიმდიდრისა. შენ, დაიავ, დავაჯილდოვებ მას მხიბლავი შვენებით, მე კი — ფერია სიმდიდრისა — ვუძღვნი ურიცხვ სიმდიდრეს. მე ავიგლეჯ თავიდან ძვირფას გვირგვინს, მოჭედილს თვალმარგალიტით, და დავუმშვენებ ამ სამკაულით თავს. ლალითა და ზურმუხტით მოვქარგავ მის ქულაჯის მაჯა-საყელოს. ალმასებით აკინძულ ოქრო-ვერცხლს შემოვარტყამ მის ლერწამისებურ ტანს. მე დავასახლებ მას ჩვენი სასახლის სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდრით აღსავსე კოშკში, სადაც გარს შემოეხვევიან ურიცხვი მხლებლები და ყველა სურვილს შეუსრულებენ.

ფერია სიბრძნისა. — მე, ფერია სიბრძნისა, — გაუღებ მას ბუნების ბჭეს, ვასხურებ შემეცნების ნაკადის წვეთებს, და შეიქნება იგი ბრძენი, აღსავსე ცოდნითა და ნიჭით...

ფერია ხელოვნებისა. — მე, დაიებო, როდესაც კი იგი ოცნების ტალღებს მისცემს თავს, შევიპარები მის სენაკში და მივართმევ ოქროს სიმებით გაბმულ ქნარს. მე შთავბერავ მას ნიჭს პოეტისას, მუსიკოსისას... იგი დაჰკრავს სიმებს და თან დაჰმღერებს საუცხოო ჰანგებს.

ფერია სიყვარულისა. — მე კი აღვაგზნებ მის გულში წმინდა გრძნობას სიყვარულისას. ეს გრძნობა იქნება მისთვის მანათობელი ვარსკვლავი; მას ჩააქსოვს იგი სულსა და გულს!..

ფერია სიცოცხლისა. — წმიდა იქნება ეგ სიყვარული, და რათა იყოს იგი უკვდავი, მე მივანიჭებ ჩვენ ძვირფას ტყვეს სიცოცხლეს სამარადისოს.

5 ფერია. (ერთხმად) იგი იქნება უბედნიერესი ადამიანი! მისი ცხოვრება ჩვენს სამფლობელოში იქნება ნეტარებით აღსავსე!!.

ფერია თავისუფლებისა. — და მაინც იგი იქნება თქვენი ტყვე! ასეთია, აბა, დაიებო, თქვენი დადგენილება? როგორ შეიძლება ადამიანმა ტყვეობაში განიცდოს ნეტარება?!

5 ფერია. (ერთხმად) როგორ, განა მშვენიერება, სიმდიდრე, სიყვარული, ხელოვნება, უკვდავება ვერ მიანიჭებს კაცს ბედნიერებას?!. ვერ აღავსებს მის გულს ნეტარებით?! მუდამ ამგვარი ნეტარებისკენ მიილტვის ადამიანი, და ჩვენ ვაჯილდოვებთ ყოველივე ამით ჩვენ ძვირფას ტყვეს!...

ფერია სიმდიდრისა. — დიახაც რომ ამგვარი ცხოვრება დაუსრულებელი ზეიმია, და მე ამ წუთში გავაღვიძებ ჩვენ ჭაბუკ ტყვეს, რათა მან თითონ მოისმინოს და გაიხაროს ჩვენი დადგენილებით (მიუახლოვდება ჭაბუკს, დაიხრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ადვიძებს:) გაალვიძე, ჭაბუკო, ადექი! შენ
უკვე გადასწყდა!

ჭაბუკი. (წამოიწევს და გაკვირვებული იქურობას ათვალიერებს)
— სადა ვარ ესა?!

5 ფერია. (ეხვევიან გარს) — ჩვენთან! ჩვენს სამფლობელოში,
ძვირფასო ჭაბუკო, ფერიათა სამფლობელოში! შენ
ჩვენი ტყვე ხარ, მხოლოდ...

ჭაბუკი. (ფიცხლავ წამოდგება) — ტყვე?!

ფერია სა- — დიახ ტყვე, მხოლოდ ტყვე ძვირფასი, სასურველი!
ლამაზისა. შენ დღეიდან იქნები თვალწარმტაცი შენი სინაზე
შვენები ...

ფერია სიბრძნისა. — ბრძენი, ვით სოლომონი!..

ფერია სიმ- — დღეიდან შენ იქნები პატრონი აუარებელი ქო-
დიდრისა. ნებისა... შენ ხელთ უთვალავ-უწონავი განძი იქნე-
ბა!..

ფერია სიყ- — გული შენი იქნება აღსავსე სიყვარულის გრძნო-
ვარულისა. ბით, და თვით შენ კი შეიქნები სათაყვანებელ ხა-
ტებად მთელი ჩვენი კრებულისა!..

ფერია ხე- — შენი სახელი ქება-დიდებით მოეფინება დედამიწას,
ლოვნებისა რადგანაც დღეიდან შენ იქნები სახელოვანი პოეტი
და მუსიკოსი!..

ფერია სიცოცხლისა. — ყოველივე ეს მოგანიჭეს შენ ჩემმა დაია
ფერიებმა, და მე კი გიძღვნი დაუსრულებელ ნეტა-
რებით აღსავე ცხოვრებას!.

ჭაბუკი. — ოხ! რა უსაზღვრო ბედნიერებით შეამკეთ თქვენ,
ძვირფასო ფერიებო, ჩემი სიცოცხლე! დღეიდან
განა ჩემზე ბედნიერი იქნება კიდევ ვინმე მთელ დე-
დამიწის ზურგზე?

5 ფერია. (ერთხმად) — დიალაც რომ ასეთი ნეტარებით ჯერ
არავის ცხოვრება არ ყოფილა შემკული; ასეთი
ბედნიერების მინიჭება შეგვიძლია მხოლოდ და
მხოლოდ ჩვენ — ფერიებს, და აი ჩვენ გაჯილდო-
ვებთ შენ — ჩვენ სამარადისო სტუმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერია სიმდიდრისა. გახსოვდეს, რომ მხოლოდ ჩვენ სამფლობელოში იქნება შენი ცხოვრება სანეტარო!..

ფერია სიცოცხლისა. დღეიდან შენი ცხოვრების ასპარეზი იქნება მთელი ჩვენი ფერიათა სამეფო!..

ფერია სიბრძნისა. და მთელი კრებული ჩვენი უმცროს დაიებისა იზრუნებს შენს კეთილდღეობაზე!..

ფერია სიდამაზისა. — როგორც უკვე გითხრეს, დღეიდან შენ ხარ ჩვენი სამარადისო ტყვე. შენ ვერასოდეს ვერ გასცილდები ჩვენი სამფლობელოს კარს; სამაგიეროდ აქ შენ მოგელის ბედნიერება, სიმდიდრე, სილამაზე! და არასოდეს არ იგრძნობ, რომ შენ ხარ ტყვე. გესმის, არასოდეს! ამის მოწამეა მაღლა ცა, და ძირს დედამიწა!

ჭაბუკი. (აღშფოთებული) — არა! არა! არ მინდა მე არც სილამაზე, არც სიმდიდრე, არც სიბრძნე, და არც სიყვარულით და ნეტარებით აღსავსე ცხოვრება. (ვედრებით) მხოლოდ გევედრებით, გამიღეთ კარი თქვენის სამფლობელოსი, განმათავისუფლეთ ტყვეობიდან!!...

ა ფერია (ერთხმად) ამას ჯერ ვერ შეუგნია, თუ რა სიდიადით იქნება აღსავსე ჩვენ სამფლობელოში მისი ყოფა-ცხოვრება!...

ჭაბუკი. (ხელებს მტვრევით და მუდარებით) შემიბრალეთ! გამანთავისუფლეთ! დეე ყოველი თქვენი ჯილდო, ყოველი თქვენგან მიღებული ნიჭი ხელოვნებისა სამუდამოდ დამეკარგოს, მხოლოდ გევედრებით: მომანიჭეთ თავისუფლება. დამიბრუნეთ საშუალება ჩემი სამშობლო მხარის კვალად ხილვისა. მომეცით მხოლოდ, თუნდა გლახაკს, თავისუფლება!..

ა ფერია (ერთხმად) ოჰ! რა რიგად სცდები, ძვირფასო ჭაბუკო, ნუ გავ' წყდება, რომ აქედან გასვლისთანავე დაჰკარგავ ყოველსავე ჩვენგან მონიჭებულ ბედნიერებას, და გახდები ისევ უბრალო მომაკვდავი. ახლა კი შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ შეგედრება ვერც ერთი შენი მოძმეთაგანი. ჩვენს სამეფოში ზეიმის ტალღა გაგიტაცებს დედამიწის მწირ ნაპირისაგან, და შემდეგში იქნება, თვით შენ დანატრიდე შენს ბედსა!

ჭაბუკი. (სასოწარკვეთილებით მიეჭდობს ხელებს გულზე) ოხ! ნუ თუ თქვენ შორის არ არის ერთი მაინც, რომელსაც შეუძლია მომხსნას უხილავი, მაგრამ ჩემთვის მძიმე ბორკილი?!!..

ფერია თავისუფლებისა. (წამოდგება, მიუახლოვდება და მხარზე ხელს დაადებს) ნუ მიეცემი, ჭაბუკო ძმაო, განაწამებას, მე ვარ ის, ვისაც უხმობ შენ, თავისუფლებას. მიიღე ჩემგან აქამომდე ჯილდო ფარული, და ამ ნე ერსა განთიადი დღეს არ ფარული!

(დაუშვებს ცალ-მუხლზე თავისუფლების ფერიის წინ, და დაუკოცნის ორივე ხელს.)

ამ დროს ვარდების ბუჩქები, და ბადის გალავანი უნდა ისე გაიწიოს, რომ გამოჩნდეს ჭაბუკისთვის ფერიათა სამეფოებელოდან გასასვლელი გზა. სცენის გარედ ისმის საამური მუსიკის ხმა.

ფერია თავისუფლებისა. (ხელით ანიშნებს გასასვლელ გზისაკენ)

— ... და ამცნე ერსა განთიადი დღეს არ ფარული!.. (მიიზიდავს ჭაბუკს ასაუნებლად)

(ჭაბუკი წამოდგება, მადლობის გრძნობით ადასავსე თვალით შეხედავს მას, წასასვლელად ნაბიჯს გადასდგამს.)

(ფარდა ნელის შრიალით ეშვება.

ფარდა.

ნ. ყორჩიბაში



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ალექსანდრეს მე ვრიგოლია.

(ნეკროლოგის მაგიერი).

იმდინარე წლის 31 მარტს, დღის 3 საათიდგან, ქ. სოხუმში, გეიმანის ქუჩაზე, მოზრდილ ერთსართულიანი სახლის წინ ბლომად თავი მოეყარა ხალხს. ბავშვების გრძელი მწკრივი, აუარებელი გვირგვინებითა და ცოცხალი ყვავილებით ხელში, თითქმის მეორე ქუჩამდის უწევდა. აქ იყვნენ ქართველები, აფხაზები, ბერძნები, რუსები, სომხები, ებრაელები და მუსულმანები. მიუხედავათ საზოგადოების ასეთი სიჭრელისა, ყველას სახეზე მწუხარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბეჭდოდა, ყველა ჰგლოვდა პატარა რვა წლის ვახტანგს, ერთად ერთ შვილს სოხუმში ცნობილ ექიმისა და ყველასაგან პატივცემულ საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე ლუკას ძე გრიგოლიასი.

მართალია, პატარა ვახტანგს არ დასცალდა გაზრდა, დიდათ გახდომა და „თავის გამოჩენა“, მაგრამ თავისი სამაგალითო ბავშვობით, თავისი „ოქროს ხანით“ ის საკმაოდ იყო ცნობილი და სახელ-განთქმული ჩვენს პატარა ქალაქში. და აი სწორეთ ამან მოუყარა თავი მისი ცხედრის გარშემო მრავალრიცხოვან საზოგადოებას.

ვახტანგი იყო ერთად ერთი ვაჟი ისეთი სათნო და ქმარზე არა ნაკლებ პატივცემული დედისა, როგორიც არის მენიკი გრიგოლიასი. ცხოვრების ამ ერთად ერთი ვარსკვლავის აღზრდას მშობლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ვახტანგი ბუნებითაც უხვად იყო დასაჩუქრებული. მშვენიერი სახისა და განსაკუთრებით კი თვალების ანგელოზური გამომეტყველება ცხადათ მოწმობდა იმ აზრს, რომ თვალები ადამიანის სულის სარკმლებია. ყველას ხიბლავდა პატარა ბავშვის სითამამე, სიფხიზლე, სიცქრიალე, ვაჟურ სიმედგრესთან შეზავებული სინაზე, სიბრალულითა და სიყვარულით აღსავსე გული. ის ტოლთან ტოლი იყო, პატარებთან—პატარა, დიდებთან—დიდი. ყველას ეთვისებოდა, ყველა უყვარდა. უყვარდა არა მარტო ადამიანი, უყვარდა მთელი ბუნება. „ჭიანჭველას არ გასჭყლეტდაო“, რომ იტყვიან, ის იყო. ვარდის ყვავილს არავის მოაწყვეტინებდა. „ხომ დასჭკნება, ხომ მოკვდებაო“, იტყოდა ხოლმე. უყვარდა ყვავილები, ლექსები. ვისაც კი უნახავს და მოუსმენია მისი ლექსების მოხდენილად კითხვა, არასოდეს არ დაავიწყდება ნაგრძნობი სიამოვნება.

ვახტანგი თვითონაც სთხზავდა პატარა რამეებს. მშვენივრად კითხულობდა, სწერდა და საუბრობდა ქართულ ენაზე. რომ დასცლოდა, იშვიათი ადამიანი გამოვიდოდა.

ვახტანგი უკვე მილეული ავადმყოფი იყო, როდესაც ყური მოჰკრა გორის ტრაგედიის ამბებს. მის მწუხარებას საზღვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ მიეცა... „რა ეშველებათ, რა ეშველებათ უბედურებას!“ მოსთქვამდა სასოწარკვეთილებით პატარა ვახტანგი. მისი დაწყნარება იმითღა მოხერხდა, რომ ჩააგონეს და დაარწმუნეს: „7 კაცის მეტი არ დაღუპულაო...“ ამის შემდეგ ყმაწვილს აღეძრა მიწის ძვრის საკითხის შესწავლის ძლიერი სურვილი და მშობლებიც იძულებულნი იყვნენ დაეკმაყოფილებინათ ეგ სურვილი და მომაკვდავმა 8 წლის ყმაწვილმა ეგ საკითხი, თითქმის ამოსწურაო, ისე შეისწავლა.

ვახტანგი დაკრძალულ იქნა სოხუმის საკრებულო ტაძრის ეზოში. მის პატარა ცხედარს გამოეთხოვეს იქ სიტყვებით, ლექსებით და უსაზღვრო გლოვით. თვით ხსოვნა კი პატარა ვახტანგისა დაუვიწყარი იქნება სოხუმის საზოგადოებისათვის. ამ საზოგადოებამ ზომებიც კი მიიღო, რათა ეს ხსოვნა იმდენად ხანგრძლივი გახდეს, რამდენად მოულოდნელი იყო თვით სიკვდილი ამ მშვენიერი ყმაწვილისა. სოხუმის ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე დაადგინა, რათა დაარსდეს ქ. სოხუმში ვახტანგ ალექსანდრეს ძე გრიგოლიას სახელობაზე სუსტ და ავადმყოფ ბავშვთათვის გიმნაზია—სანატორიუმი, სრულიად ახალი და გაუმჯობესებული ტიპისა.

ამგვარი დაწესებულება დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს პატარა რესპუბლიკას. აღნიშნული მიზნისთვის ქალაქმა ახლავე მიუჩინა ხუთი დესეტინა საუკეთესო მიწა, რომელიც მაღლობიდან ქალაქს თავს დაჰყურებს და ჰავის მხრივ შეუდარებელია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაწყებულ დიდებულ საქმეს ქალაქი დიდებულათვე დააგვირგვინებს. აი რა უკვდავ ჰყოფს პატარა ვახტანგის ხსოვნას! აი რას შეუძლია ჩვენთვის იმ დანაკლისის ანაზღაურება, რაიცა უეჭველად მოგვიტანა ვახტანგის უდროო სიკვდილმა.

კეთილი იყოს ხსენება შენი, მშვენიერო ვახტანგ!

ნ. ქურიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სახსოვრად)

ახსოვს: შეგპირდი ერთხელ, ვახტანგ,
ლექსისა ძღვნობა!
აჰა, მოვედი მეც ამ ძღვენით,
რა გაეწყობა.
გიყვარდა ლექსი, ია, ვარდი
და გაზაფხული,
და გაზაფხულზე სწორედ ყველას
დაგვწყვიტე გული:
თალხით შემოსე დედა, მამა,
ნათესავები... .
მაგ შენს „ოქროს დროს“ სულ არ შვენის,
ვახტანგ, შავები!..
სთქვი, რას მემდური? ეგ დუმილი
უდროდ გწვევია!
ასეთ შეხვედრას არ ველოდი:
შენ არ გჩვევია!
„გარდაიცვალა“... სულ არ გშვენის,
ვახტანგ, ეგ სიტყვა,
მოულოდნელი შენზე რაღაც,
მძიმე, როგორც ქვა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქნებ ტკბილ-ხმებით ცის სირინოზთ
მოგაჯადოვეს:
შენ წარგიტაცეს და ობლებად
ჩვენ აქ დაგვტოვეს...
და დღეის იქით ვერ გიხილვენ
ჩვენი თვალები?!.
ვაი ამ თვალებს, თორემ შენ კი
არ მებრალები:
შენ მტრედი იყავ! მტრედათ დარჩი!
მტრედათ გაფრინდი!
მხოლოდ ჩვენ დაგვრჩა ტკბილი ხსოვნა
და მწუხრის ბინდი!..
იძინე, ნორჩო, დღენი შენნი
იყო სიზმარი,
შენთვის საამო, მაგრამ ჩვენთვის
აწ სამძიმარი!..

ნ. ზომლეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველების უძველეს ისტორიიდან

(შემდეგი)

ქალდები, ქართები ურარტუ—ნაირის ბინა. მე-XIII ს. ქრისტეს წინად ასურელები იხსენიებენ პირველად ურუატრის სამეფოებს რომელიც მდებარეობდა ტიგროს-ევფრატის სათავეების მიდამოებში, ასურეთის დასავლეთ-ჩრდილოეთით. წარწერის მიხედვით მეფე სალმანასარმა თითქოს დაიმორჩილა კიდეც ეს სამეფო.

სალმანასარის შემდგომ ამავე ადგილებს ვანის ტბის მიდამოებით 1260 წლის წარწერაში **ნაირის** სახელით იხსენიებს მეფე ტუკულტი—ნინიბი. ტუკულტი—ნინიბს ამ წლებში გაულაშქრია ნაირის 40 მთავრის შეერთებული ლაშქრის წინააღმდეგ და დაუმარცხებია ისინი.

1100 წელს ქრისტეს წინად მეფე ტიგლატ-პილესარ პირველიც მოგვითხრობს თავის წარწერაში, რომ დაამარცხა ნაირის 60 მთავრის შეკავშირებული ჯარი და ამათ ხმელთა-შუა ზღვისა და ნაირის ზღვების შუა მდებარე ქვეყნების მბრძანებელი გავხდიო.

ასე იწყება ასურეთის წარწერებში ახალი სამეფოს ურუატრა ურუარტის, ანუ ნაირის მოხსენება. თუმცა ამ წარწერებით ასურელები ბევრად ძლიერები გამოდიან ურარტელ—ნაირელებზე, მაგრამ უკვე აშკარად ეტყობა უკანასკნელთა ცდა ერმანეთთან გაერთიანება-შეკავშირებით ასურელებისთვის წინააღმდეგობის გაჩენისა. ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო და აღმოცენდა კიდეც ურარტელებში ცენტრალიზაციის მისწრაფება და მეათე საუკუნეში ქრ. წინად, როგორც სჩანს, პროცესი ცენტრალიზაციის სრულდება და ასურეთის ჩრდილოეთით ჩნდება ახალი ძლიერი სამეფო.

პირველ ხანებში ამ სამეფოს ასურელები უწოდებდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ ნაირის, ანუ წყლის პირის, ქვეყნებს, რაც ბაბილონელებმა დაარქვეს იმიტომ, რომ ქვეყანა ვანის ტბისა და ტიგრ-ს ევფრატის სათავეების ნაპირებზე იყო. თითონ ურარტლები სამეფოს უწოდებდნენ „ბიათნას“, აქედანაა სახელი „ვანის“ ტბისა.

ურარტელების გაძლიერებასთანავე ე. ი. მეათე საუკუნეში ქრისტეს წინად ჩრდილოეთის ჰეგემონია*) მათ ხელში გადადის და ამის გამო ისინი ხდებიან უსასტიკესი მეტოქეები ასურელებისა. ამ მეტოქეობით გამოწვეულმა ბრძოლამ, რასაკვირველია, შეაჩერა გაძლიერება ორივე სამეფოსი და კერძოდ ასურელებს საქმე გაუჭირა და დასავლეთში მათ გაბატონებას ხელი შეუშალა.

ურარტუს სამეფოს მკვიდრები იყვნენ ქალდები, რომლებიც ქართების ანუ ქართველების წინაპრებად უნდა ჩაითვალონ. როგორც ზემოდ მოხსენებული გვქონდა, ქალდები მრავალ საუკუნის წინად უფრო სამხრეთით ცხოვრობდნენ და ქალდეად წინად ცნობილი იყო შუა მდინარე, მისი სამხრეთი ნაწილითაც. ყოველ შემთხვევაში ასურეთის მეფე ტუკლატადარი თავის 1275 წ. წარწერაში იხსენიებს შუა მდინარეს, როგორც კარდუს ქვეყანას. მერე როგორც აღნიშნული გვქონდა ქალდებს სემიელების შემოსევის ზეგავლენით დაუხევიათ ჩრდილოეთისკენ და მე-XIII საუკუნისათვის უკვე ეფრატ-ტიგროსის სათავეებში სახლობენ. აქ მდინარე მცირე ზაბის ნაპირას ჰქონოდათ სატახტო ქალაქი მუსასირი მთავარი ღმერთი **ქალდის** ტაძრით. შემდგომ ე. ი. მეათე საუკუნისათვის იმავე სემიელების ზეგავლენით სატახტო ქალაქი გადააქვთ უფრო ჩრდილოეთით ვანის ტბის დასავლეთ ნაპირას ქალაქ არზაშკუნში.

სალმანასარ მეფის დროისთვის 860—825 წ. ურარტუ არამეს თუ არამუს მეფობის დროს იმდენად გაძლიერებულა, რომ ასურელებს აფრთხობს და ამიტომ მეფე სალმანასარმა 860—857—844 წლებში სამჯერ ზედი-ზედ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და თუმცა წარწერების მიხედვით ქართე-

*) პირველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი საშინლად დაამარცხა და მთავარი ციხეები არზაშკუნი, ხუ-
გუნია და არმალიც წაართვა, მაგრამ დამორჩილებით ეტყობა
ვერ დაიმორჩილა და უკან დაბრუნდა.

არამეს მერე ურარტუს ტახტი დაიჭირა მეფე სარდურ I,
რომელმაც სატახტო ქალაქი არზაშკუნიდან ქ. ტუშპაში (ვანში)
გადაიტანა. სახელი ტუშპა ნაწარმოები უნდა იყოს ქარიშხალის
და ცის ღმერთის ტიშუბის სახელიდან.

სარდურ I დროს ასურეთში იჩინა თავი შინაურმა უწე-
სოებამ და მოსვენებული ურარტუ ისევ ძალებს იკრეფდა.

840-825 წლებს შუა ურმიის ტბის დასავლეთით შემოიხიზნა
ახალი ხალხი, რომელმაც აქ თავისი სამეფო დააარსა. ადგილი,
რომელიც მანეებმა დაიჭირეს, მეტად ნაყოფიანია, და ამიტომ
ყოველი ძლიერი მეზობელი ცდილობდა მათ დამორ'ჩილებას.
თავის თავად ცხადია, რომ ასურეთიც და ურარტუც მათ და-
მორჩილებას სცდილობდნენ და ეს მათ შორის მეტოქეობის
ახალ საგნად გადაიქცა. სარდურ I-მა ეს მანეები თავის სამეფოს
დაუმორჩილა.

825-812 წლებს შუა ასურეთის ტახტი ეჭირა სამსიადად
IV, რომელიც თითქმის ყოველ წლივ ილაშქრებდა ჩრდილო-
აღმოსავლეთისაკენ ურარტელების მეფის ისპუინის, სარდურ I
შვილის წინააღმდეგ. სამსიადადი ცდილობდა, თუ თვით ის-
პუინს ვერ დაამარცხებდა, მანეები მაინც გამოეგლიჯა მისი გავ-
ლენისაგან. ამ ხანებში ქალდების გაკლენას განიცდიდნენ ასუ-
რეთის აღმოსავლეთით მდებარე თითქმის ყველა ტომები და
მიდიელებიც, და ამიტომაც ასურელების ბრძოლა საბედისწერო
ხასიათის იყო. ბრძოლაში ხან ასურელები იმარჯვებდნენ, ხან
ქალდები; საბოლოოდ კი გამარჯვება ისპუინს დარჩა და ქარ-
თებს დაემორჩილა პარსუაც, რომელიც ურმიის ტბისა და მა-
ნეების სამხრეთით იყო. ამის შემდგომ ისპუინმა ყურადღება
მიაქცია ჩრდილოეთსაც და დაიპყრო ახლანდელი ერზერუმის
მიდამოები. ეს შემთხვევა ისპუინმა აღნიშნა არზრუმის მიდა-
მოებში დარჩენილი ლურსმული წარწერით.

ურარტუს მეფეები ისპუინამდე სწერდნენ ასურული, ე. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემიური ენით. ისპუინმა კი ლურსმული ალფაბეტი ქალდეურ ბგერას დაუკავშირა და ქალდურად წერა დაიწყო. მეცნიერები ამ წარწერათა ენას ხეთელების წარწერების ენას უნათესავებენ, მაგრამ რადგანაც ჯერ-ჯეროობით მხოლოდ გარჩევის პირველი ცდაა, საბოლოოდ გამორკვეულად არ ჩაითვლება.

ასურეთის მეფის სამდიადის შემდგომ ტახტზე ავიდა მისი შვილი ადადნირარი (812-783). ადადნირარი სიძლიერით თავის მამაზე სუსტი იყო და ამიტომ ქალდებმა კიდევ უფრო დაამარცხეს ასურეთი. მით უმეტეს რომ მანეებისა და პარსუას სამეფოებში გამაგრებულნი იყვნენ და მაშასადამე ასურელების წინააღმდეგ რამდენიმე მხრიდან შეეძლოთ ბრძოლა.

ისპუინის შვილი მენუა ერთი მეორეზე აცლიდა ქვეყნებს ასურელებს. სალმანასარ III (783-773) თითქმის ყოველ წლივ ცდილობდა მის მოგერიებას და მის წინააღმდეგ გალაშქრებას. 773-745 წლებს შუა ასურელები ურარტელების წინააღმდეგ ლაშქრობას ველარ ბედავდნენ. მენუამ კი პირიქით ასურელებს წაართვა დაიაენი და ურმენი, დაამარცხა ხეთები და მთელი მხარე მელიტენემდე (მალატია ევფრატზე) თავის სამეფოს შემოუერთა.

გაძლიერებულ მენუას არც ჩრდილოეთი დაუტოვებია უყურადღებოდ და ახლანდელი ერევანის მიდამოები დაიპყრო. მაშინ ერევანს ერიაინა ეწოდებოდა. აქ სამეფო ერიდუაზის სატახტო ქალაქს ლუხიუნს უწოდა მენუახინილი, ანუ მენუას ქალაქი.

კიდევ უფრო გაძლიერდა ურარტუ მენუას შვილის არგიშტი I დროს, რომელიც ბრწყინვალედ განაგრძობდა მამის საქმეს. არგიშტიმ თოთხმეტჯერ გაილაშქრა ასურეთზე დაამარცხა და დაიმორჩილა მცირე აზიის ხეთელები და სხვა ქართველი ტომები და ამ გვარად შეაერთა თითქმის ყველა ქართული, ანუ იაფეტიანთ მოდგმის ტომები. ასეთივე ძლევამოსილებით ილაშქრებდა არგიშტი ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ აქ ის გარდა დამორჩილებითი პოლიტიკისა ქვეყნის ბუნებასაც მისდევდა და ერევანის ველის ცენტრში არმავირის ბორცვზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსა ქალაქი არგიშტიხინილი; ქ. ერევანის მახლობლად (1 ვერსის დაშორებით) ააშენა ციხე და 15 ვერსის მანძილზე სოფ ეილარში იპროვეს წარწერა, რომელშიაც მოთხრობილია ულუანის ქვეყნის დაპყრობაზე. გოქჩის ტბის ჩრდილეთ-დასავლეთის ნაპირზე წარწერაზე მოთხრობილია კიეხუნის ქვეყნის დაპყრობა. ახლანდელი სარიყამიშის მახლობლად არგიშტის წარწერა მოგვითხრობს ეტიუნის ქვეყნის დაპყრობაზე გუმბრის მახლობლად კი ალაგეზის ჩრდილო-დასავლეთის კალთის წარწერაზე მოთხრობილია კულანისა და დურუბანის დაპყრობაზე.

არგიშტი I შვილის სარდურ მეორის დროს ქართველების სამეფოს დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება კიდევ უფრო გაძლიერდა. სარდურ მეორემ გადასწყვიტა ასურეთის ზღვისაგან ჩამოშორება დასავლეთით და ამ მოსაზრებით აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ომი აუტეხა. 745 წელს, თუ უფრო ადრე მან დაიპყრო სირიის კარი არპადი, მაგრამ შენარჩუნება ვერ მოახერხა და მიატოვა. ქალაქი რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადადიოდა. 743 წელს ასურეთის მეფემ ტიგლატ პილესაარ II დაამარცხა ქართველები და ქალ. არპადი სამი წლის გარემოცვის შემდგომ ისევ დაიბრუნა. ურარტელებმა ქ. არპადი ერთხელ კიდევ ჩაიგდეს ხელში, მაგრამ მალე ისევ დაჰკარგეს.

735 წელს ასურელები შემოესივნენ ურარტუს და მოოხრეს, ქ. ტუსპაც კი გარემოიცვეს, მაგრამ აღებით ვერ აიღეს. სამეფოს სამხრეთი ნაწილი კი დაიმორჩილეს და თავისი მოხელეებიც ჩააყენეს. ქალდებმა დაჰკარგეს სხვათა შორის ქ. მუსასირიც, სადაც იყო ღმერთი ქალდის მთავარი ტაძარი.

სარდურ II ვაჟის რუსა I დროს ქართველებმა ისევ მოიკრიფეს ძალები და ასურეთის საწინააღმდეგოდ ყველა ქართველმა ტომებმა კავშირი შეჰკრეს. ამის გარდა შეეცადნენ მათ წინააღმდეგ გაელაშქრებინათ ასურეთის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე სამეფოები. რუსამ I გაილაშქრა მანეების წინააღმდეგ. რუსას ენერგიამ დიდი ნაყოფი გამოიღო და მან თავის სამფლობელოს 720 წელში დაუბრუნა მუსასირიც, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეების სამეფოც და მილიაც. მაგრამ მალე ბედმა ისევ ალაპარაკა ქართველებს. 715 წელს ასურეთის მეფე სარგონმა დაამარცხა რუსა I მოკავშირენი, წაართვა რუსას 22 ციხე, სხვათა შორის მუსასირიც და იქაური ტაძრიდან დიდძალი ქონება წაიღო.

მიუხედავად ასეთი დამარცხებისა. რუსა მაინც ძლიერ მეფედ ითვლებოდა და ქართველებს მის დროს 23 სამეფო ემორჩილებოდა. რუსა პირველმა დაუბრუნა თავის სამეფოს ჩრდილოეთის ყველა ის სამეფოები, რომლებიც ოდესღაც ქართველებს ემორჩილებოდნენ, მაგრამ სარდურ მეორეს დამარცხების დროს ურარტუელებს განუდგნენ. გოქჩის ტბასთან. მან სხვათა შორის ააგო ქალაქი რუსახინილი.

რუსა პირველის შემდგომ ცნობილია არგიშტი მეორე, რომელიც არა ნაკლების ენერგიით ეომებოდა ასურელებს. არგიშტი მეორეს დროს წინააზის სამეფოებს გამოუჩნდათ ახალი მტერი, რომელთანაც არგიშტი მეორეს არა ერთხელ მოუვიდა სასტიკი ომის წარმოება; ეს მტერი იყო გიმირები ანუ კიმერიელები. არგიშტი II-ემ როგორც იყო ისინი მოიგერია. მაგრამ მათმა შემოსევამ მაინც დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს: მრავალი წყალსადენი და საუკეთესო მეურნეობა იყო განადგურებული და დაქცეული. არგიშტი II შემდგომ ტახტზე ავიდნენ ჯერ რუსა II და მერმე სარდურ IV, რომლებსაც ასურელებთან მეგობრული განწყობილება ჰქონდათ. მეგობრობის უმთავრესი მიზეზი იყო კიმერიელების სიძლიერე და მათი შიში. ისინი ასურელებისთვისაც ისეთივე საშიში იყვნენ, როგორც ქართველებისთვის და ამიტომ ერთმანეთთან ომით ეშინოდათ არ დასუსტებულიყვნენ. რუსა II შრომა მიმართული იყო არგიშტი II დროს კიმერიელების მიერ დაქცეულ—განადგურებულ წყალსადენებისა და მეურნეობის აღდგენისაკენ, რასაც, როგორც წარწერიდან სჩანს, ბევრი შრომა და დრო მოუნდა.

მაინც საბოლოდ ვერაფერმა ვერ უშველა. ვერაფერს უშველა სარდურ მეოთხისა და ასურეთის მეფის ასურბანიპალის მეგობრობამაც. კიმერიელების შემოსევა ქართველებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის საბედისწერო იყო და მეფე ერიმენა და რუსა ძესაც შემდგომ ურარტუ დაემხო და ქართველების სამეფოებს ვანის ტბის მიდამოებში ბოლო მოელო.

ქართებმა ჩრდილოეთით დაიწიეს, მათი ადგილი კი დაიკავეს ქართველ ტომებში ნარევმა კიმერიელებმა, ე. ი. დღევანდელმა სომხების წინაპრებმა.

ეს უნდა მომხდარიყო დაახლოვებით მეექვსე საუკუნის დასაწყისში ქრ. წ.

ქართველ ტომთა უძველესი კულტურა. ქართველ ტომების მაშინდელი კულტურა ის მიზეზების გამო, რომელზედაც ჩვენ უკვე რამდენიმეჯერ გვქონდა საუბარი, ჯერ ჯეროობით არ ვიცით. მისი დახასიათება და შესაფერისად შეფასება და შესწავლა შეუძლებელია და მხოლოდ კანტი-კუნტად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის. მხოლოდ რამდენიმე გამოხატულება ამ კულტურისა თითქოს უკვე შეურყეველად უნდა ჩაითვალოს, და თუ ასეა, მაშინ ქართველ ტომების კულტურა ადამიანობის კულტურის სულის ჩამდგმელად და დედა-ფუძად უნდა ჩაითვალოს.

უკვე საბოლოოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ლითონის დამუშავება და იქნებ აღმოჩენაც უნდა მიეწეროს ქართველთა წინაპრებს. რკინა, ბრინჯაო, სპილენძი, ფოლადი და თითქმის ყველა ლითონის სახელწოდება ქართულ ძირებზე ეფუძნება და ხშირად ქართულ ტომების სახელებს ატარებს ევროპიელთა გამოთქმაში. ხოლო ლითონი ხომ თავის მხრივ კულტურის უდიდეს იარაღად უნდა ჩაითვალოს და ადამიანობის კულტურისათვის მისი აღმოჩენელ-დამმუშავებელნი უკვდავნი არიან.

სუმერში უაღრესად განვითარებული იყო აგრეთვე წყალსადენების საქმე და მაშასადამე უმაღლეს საფეხურზე უნდა მდგარიყო მეურნეობაც.

ხუროთ-მოძღვრებაც არ იყო დავიწყებული და მრავლად დარჩენილი ძეგლები, დღეს დანგრეული, ოდესღაც წარმოადგენდნენ ისეთ სიდიადეს, რომელიც დღესაც აკვირვებს ხელოვან-ოსტატებს.

წყალსადენების საქმის დაწინაურებამ ვანის ტბის მიდამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბში, საცა ახლაც კი მოქმედებენ რუსა I, არგიშტის და სხვა ურარტელ-ქალდ მეფეთა მიერ გაყვანილი არხები და მათმა ბაბილოვნის აყვავების ხანის წყალსადენების საქმესთან შედარებამ ზოგიერთი მეცნიერები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ აქ გადმოსახლებულნი იყვნენ ის ქალდები, რომლებიც შუა მდინარეში ცხოვრებდნენ და განთქმული იყვნენ, როგორც ვარსკვლავთ მრიცხველები ე. ი. ასტროლოგები. პროფ. მარრის აზრით სიტყვა „მოგვი“ (ევროპ. „მაგი“) ქართულ ძირიდან არის ნაწარმოები და უნდა ჩაითვალოს გამომხატველად, რომ ამ მეცნიერების სათავეც უნდა ვეძებოთ ქართველ ტომების კულტურაში, უნდა ვეძებოთ ქალდებ-ქართებში.

ლითონის წარმოების ზედმიწევნითი განვითარების გამომხატველად ქალდებში უნდა ჩაითვალოს შემდეგი: როცა სარლონ მეფემ მუსასირი აიღო, სახელმწიფო საწყობებიდან და ქალდის ტაძრიდან წაიღო მრავალი ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თვლები, სპილოს ძვლის სავარძლები, ტახტრევანები, სამსხვერპლოები და სხვ. 33 ვერცხლის ეტლი, 394 ვერცხლის ჭურჭელი; 139 სპილოს ძვლის არგანი; 25212 ბრინჯაოს ფარი; 1514 ბრინჯაოს შუბი; 305412 ბრინჯაოს ხმალი; 607 ბრინჯაოს აუზი საბანებლად და 80 საწყავიანი ბრინჯაოს აუზი ღმერთების წინაშე ღვინის შესაწირავად. აქედანვე წაღებული იყო რკინის დაუმუშავებელი ნაჭრები, რომლებიც ასურელებს ტაძრებში ნაჭრებადვე და დაუმუშავებლად დარჩათ, სჩანს მათ კიდევ არ სცოდნიათ რკინის დამუშავება, არ სცოდნიათ, თუ რისთვის იყენებდნენ ამ ლითონს ქალდები.

ხუროთ-მოძღვრების დარგში ზედმიწევნით განვითარებულად უნდა ჩაითვალოს ქვის ქანდაკებანი, კლდეებში სასახლეების გამოჭრა, რომელიც უმაღლეს საფეხურზე ედგათ ქალდებს.

სამწუხაროდ ქართველ ტომების დიდი კულტურის ასე მცირეოდნათ გამოსახვას უნდა დავჯერდეთ, სანამ არ იქნება წაკითხული მცირე აზიის, შუა მდინარის, სირიის და კავკასიის წაუკითხავი წარწერები.

ამგვარად დასრულდა ქართველ ტომების შემოსახლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი და ვრცელი მიწა-ულიდან აწინდელ საქართველოში მარ-
თალია იმ ხანების საქართველოსთან შედარებით ახლანდელი
მხოლოდ პაწია ნაწილია, მართალია—ქართველები ჯერ კიდევ
ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეზე და
მე-V საუკუნეში ჯერ კიდევ კაპადოკიის ნაწილიც უჭირავთ,
მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ტომების ის-
ტორიულმა გადმოსახლებამ მიაღწია თავის დღევანდელ შედეგს.
ვინ მოვიდა პირველად საქართველოში, ე. ი. რომელი ტომი
და როდის—ამის თქმა ძნელია. დაახლოებით კი, როგორც
არქეოლოგიურ გამოკვლევებიდგან სჩანს, საქართველოში შე-
მოსვლა ქართველებს უნდა დაეწყოთ X საუკ. ქრ. წ., მაგრამ
თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ ამ დროს ვანის მიდამოებ-
ში ქალდების (ქართების) ძლიერი სამეფო იყო, ცხადი იქნე-
ბა, რომ ქართველ სხვა ტომების შემოსვლა ბევრად ადრე უნ-
და დაწყებულიყო, და შესაძლებელია ხეთელების და მიტანე-
ლების შესუსტების დროითაც განისაზღვრებოდეს, ე. ი. XII-XIII
საუკ. ქრის. წინად., ან კიდევ უფრო ადრე.

რაც შეეხება იმას, თუ რომელი ტომი მოვიდა ყველაზე
ადრე, ესეც მხოლოდ ვარაუდით შეიძლება გავითვალისწინოთ
სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით: პირველად უნდა შემოსული-
ყვნენ აწ არსებულ ტომებიდან, სვანები, მერმე მეხები (აფხაზე-
ბი), მერმე ტაბალები (იბერიელები-ლაზ-მეგრელები) და ბო-
ლოს ქართები. როგორი რიგით მოვიდნენ კახ-კოლხები ან სხვა
ტომები,—ამის თქმა ძნელია.

ყოველი ახლად მოსული ტალღა წინად მოსულს ბრძო-
ლით ეხეთქებოდა და ჩრდილოეთისაკენ ან მიუვალ მთებში
მიერეკებოდა, ან კიდევ ერთმანეთში არევით მოსული ან ად-
გილობრივი ტომი მეორეში გაითქვიფებოდა, და თავის სახეს
ჰკარგავდა, მეორეც, ცხადია, ცოტაოდნად სახეს იცვლიდა. ამი-
ტომაც ბევრი მაშინდელი ეთნოგრაფიულ სახელწოდებიდან
ახლა მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინები ღა დარჩა, თვითონ
ტომი კი მოისპო. ასეთებად უნდა ჩაითვალოს: იმერლები, კა-
ხელები, მესხები და სხვა, რომლებიც ატარებენ სხვა უცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომის სახელებს, ახლა კი ქართების ტომის შთამოძავლობას ეკუთვნიან. ისინი მონათესავე ტომის მიწა-წყალზე შესახლებულან ადგილობრივი მკვიდრნი შეუდუღებიათ, თვითონ კი მათი სახელი მიუღიათ.

ამით ვასრულებთ ქართველ ტომების უძველესი ხანის ცხოვრების პირველი პერიოდის აღწერას.

მეორე პერიოდი უძველესი ხანისა ე. ი. მე-VI საუკ. II საუკუნემდე ქრისტეს წინად აღწერილია კანტი კუნტად ბერძნებისა და რომაელი ისტოიკოსების ნაწერებში, მართალია ეს ცნობებიც მეტის მეტ მცირე და ნაკლულ წყაროებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ პირველი პერიოდის ხანასთან შედარებით მაინც ბევრად სავსე და დამაკმაყოფილებელია,

ი. ანთაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

1. ცხენოსნები—სურ. 1
2. სეტყვა,—ლექსი რევაზ ერისთავისა. 2
3. პატარა დაიკო მარია,—ი. მჭედლიშვილისა. . . 3
4. სულმა იგრძნო,—მ. იანქოშვილისა. 11
5. ლურჯი ფრინველი--ფეერია გ. ჯაბადრისა. . . 16
6. დაკარკული ბავშვი,—თარგ. ნინო ნინიძისა. . . 33
7. თავისუფლების მოტრფიალე—პიესა ყორჩიბაშისა. 43
8. ვ. ალ. ძე გრიგოლია—ნ. ქურიძე. . . . . , 50
9. დაუვიწყარ ვახტანგს—ლექსი ზომლეთელისა . . 53
10. ქართველების უძველესი ისტორია—ი. ანთაძისა . 55

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1920 წ.

წლისათვის

დასურათებული

საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთხელ.

წლიურად ორივე გაზეთის ფასი 200 მან.
ცალ-ცალკე . . . . . 100 „
ნახევარი წლით . . . . . 100 „

მისამართი: თბილისი, **„ნაკადული“** რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2, ტელეფონი № 7—51.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
გამომცემელი **თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

სტამბა ქალაქთა კავშირისა.